



ბენეფიციარ მესაკუთრეთა  
მონიტორინგის გზამკვლევი



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

supported by

• Visegrad Fund

სახელმძღვანელო მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის - კარგი მმართველობისთვის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობის სტანდარტების გაუმჯობესება - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.

სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.

სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

თეონა ტურაშვილი

გვანცა ნიკურაძე

მარიამ გოგიაშვილი

© ბენეფიციარ მესაკუთრეთა მონიტორინგის გზამკვლევი, 2021

ყველა უფლება დაცულია. სახელმძღვანელოს გადაბეჭდვა შესაძლებელია IDFI-სთან შეთანხმებით.

**ბენეფიციარ მესაკუთრეთა  
მონიტორინგის გზამკვლევი**

თბილისი  
2021

# შინაარსი

■ შესავალი .....	5
■ გენეუიციარ მესაქუთრეთა განმარტება .....	6
■ გენეუიციარ მესაქუთრეთა რეესტრის მნიშვნელობა .....	11
■ გენეუიციარი მესაქუთრეების შესახებ მონიტორინგისა და საგამოქიებო საქმიანობის მნიშვნელობა .....	23
■ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა .....	28
■ გენეუიციარი მესაქუთრეების შესახებ მონიტორინგისა და საგამოქიებო საქმიანობის პროცესი .....	32
■ დანართები .....	62

გადასახადებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა კორუფციის პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს. ბოლო წლებში ჟურნალისტებისა და სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფების მიერ ამ კუთხით გაუმჭვირვალე პრაქტიკის სააშკარაოზე გამოტანის შემთხვევებმა ამ საკითხებს მეტი აქტუალობა შესძინა. ამავდროულად, ნათელი გახდა, რომ გადასახადებისგან თავის არიდება და რეალური მესაკუთრეობის დამალვა წარმოადგენს არა მხოლოდ ცალკე მდგომ ფინანსურ დანაშაულს, არამედ ის მიუთითებს კორუფციისა და ფულის გათეთრების მრავალმხრიანი ჯაჭვის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მთელ საზოგადოებას. ამ მიმართულებით გამჭვირვალე პრაქტიკის დანერგვაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა სწორედ გამომძიებელ ჟურნალისტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ.

აღნიშნული გამჭვირვალეობის მიზანია ბენეფიციარი მესაკუთრის ცნების, გამჭვირვალობის სტანდარტების და იმ ძირითადი პრაქტიკული რჩევების ჟურნალისტებისთვის, სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფებისთვის, მკვლევრებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის გაზიარება, რომლებიც მათ ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენასა და მათ უკან მდგომი კომპანიების საქმიანობის მონიტორინგში დაეხმარებათ.

გამჭვირვალეობის მომზადებისას გამოყენებულ იქნა ამ საკითხებზე საჭაროდ ხელმისაწვდომი სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი გამჭვირვალეობის, ასევე, ჟურნალისტური და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საგამომძიებო მასალების შედეგები და მათ მიერ ანალიზისას გამოყენებული მეთოდოლოგია.<sup>1</sup>

<sup>1</sup> გამჭვირვალეობის ცალკეული ნაწილის მომზადებისას გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- Q A Beneficial Ownership Implementation Toolkit (2019). The Secretariat of the Global Forum on Transparency and Exchange of Information for Tax Purposes Inter-American Development Bank
- Q Beneficial Ownership: How to find the real owner of secret companies - A guide for journalists and civil society in Ghana, Kenya & Nigeria. 2017. Transparency International.
- Q Sabados, Katarina. How to Follow the Money: Tips for Cross-border Investigations. (2018). Global Investigative Journalism Network.
- Q Bellingcat's Online Investigation Toolkit: [bit.ly/bcattools](https://bit.ly/bcattools)
- Q ოფშორულ კომპანიებთან დაკავშირებული სხვადასხვა საგამომძიებო პორტალები / მასალები: <https://pudo.org/material/investigative-tools/>
- Q პრაქტიკული სახელმძღვანელო მონაცემთა ჟურნალისტებისთვის. 2019. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- Q ფარული ბენეფიციარები გამოგონილი ფიგურების მიღმა. 2021. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- Q ოფშორული კომპანიები საქართველოში: ბიზნეს ინტერესები და კორუფციის რისკები. 2021. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო.

# ბენეფიციარი მესაკუთრეთა განმარტება



ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) განმარტების თანახმად, ბენეფიციარი მესაკუთრე არის ფიზიკური პირი, რომელიც წარმოადგენს სუბიექტის საბოლოო მფლობელს, ან მაკონტროლებელი პირი ან/და რომლის სახელითაც ხორციელდება გარიგება (ოპერაცია). გარდა ამისა, ბენეფიციარ მესაკუთრეთა ცნება შესაძლოა ვრცელდებოდეს იმ პირებზეც, რომლებიც სამეწარმეო იურიდიული პირის მართვის კონტროლს ახორციელებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის რეალური პირი, რომელიც კომპანიის აქტივებს აკონტროლებს.

## ტერმინი ბენეფიციარი მესაკუთრე მოიცავს ორ ასპექტს:

**01** როდესაც საკუთრების უფლების საბოლოო მფლობელი და მაკონტროლებელი ბენეფიციარი მესაკუთრეა (**საბოლოო მესაკუთრე**);

ხოლო საკუთრების უფლება ნომინალურ/ფორმალურ მფლობელს (**იურიდიულ მესაკუთრეს**) ეკუთვნის.

**02**

საკუთრების ნომინალური და საბოლოო უფლების დაყოფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მაგალითია საბროკერო კომპანიები. ბროკერები კლიენტების ფულს დებენ გარიგებებში, რათა ინვესტიციებიდან საბოლოო მოგება ბენეფიციარი მესაკუთრების საკუთრება გახდეს, ხოლო ნომინალური მფლობელები იღებენ კონკრეტულ ანაზღაურებას მათი მომსახურებისთვის.



ბენეფიციარი საკუთრების კიდევ ერთი მაგალითია **კომპანიებში წილების რაოდენობის კონტროლი**. მაგალითად, გავრცელებულია მოსაზრება, რომ დახურული ტიპის კომპანიაში 51%-ის ფლობა საკმარისია მართვის უფლებებისთვის. მაგალითად, ისეთი აქტივობებისთვის, როგორცაა: დირექტორის არჩევა, საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებული გარკვეული უფლებების განხორციელება, კომპანიის უძრავი ქონების

გაყიდვა და დივიდენდების გაცემა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც საქმე ეხება ღია ტიპის კომპანიებს, სადაც ხშირად აქციათა მცირე წილის მფლობელი აქციონერები გვევლინებიან, აქციების 15-20%-ის ფლობა შეიძლება საკმარისი იყოს კომპანიაში მენეჯმენტისა და საკუთრების უფლების განხორციელებისათვის.

კომპანიები (სამენარმეო იურიდიული პირები) ზოგჯერ წარმოადგენენ კორუფციული ჯაჭვის ნაწილს, განსაკუთრებით ეს ეხება მაღალი დონის კორუფციულ შემთხვევებს. თუმცა მათი იდენტიფიცირება რთულია. ბოლო წლებში, მსოფლიო მასშტაბით გამოვლენილმა ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შემთხვევებმა კიდევ ერთხელ გამოაშკარავა, რომ ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობა არა მხოლოდ კორუფციის, არამედ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი), ბავშვთა შრომის, ნარკოტიკებით ვაჭრობის, ტერორიზმის დაფინანსებისა და სხვა დანაშაულებების სააშკარაოზე გამოტანას უწყობს ხელს. შესაბამისად, რეალური მფლობელის ფარულობა სახელმწიფოებს პრობლემას უქმნის როგორც ეკონომიკური, ისე სამართალწარმოების კუთხით.

**იურიდიული პირების მრავალშრიანი ჯაჭვის შექმნის მეშვეობით საკუთარი აქტივებისგან ჩამოშორება** წარმოადგენს ბენეფიციარი მესაკუთრეობის დაფარვის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდს. რაც, ხშირ შემთხვევაში, ხელს უშლის ეფექტური და სამართლიანი გამოძიების ჩატარებას.



გარდა ამისა, აქტივების დამალვისას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოფშორულ ქვეყნებს,<sup>2</sup> სადაც კომპანიის მფლობელებს საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, საკუთარი ვინაობის დამალვა უმარტივდებათ. ოფშორულ ზონებში კომ-

პანიის რეგისტრაციის სარგებლიანობას მრავალი მიზეზი განაპირობებს. პირველ რიგში, ეს საგადასახადო შეღავათს უკავშირდება. ამასთან, რეგისტრირებულ კომპანიას არ მოეთხოვება, იყოს იმ ქვეყნის რეზიდენტი, ან ფლობდეს ფიზიკურ ოფისს/ფილიალს ოფშორულ ცენტრში. ქართულ კონტექსტში ხშირია შემთხვევა, როდესაც ოფშორში რეგისტრირებული კომპანიები, ან ამ კომპანიების შვილობილი კომპანიები სახელმწიფო შესყიდვებში რეალური მფლობელის დამალვის შედეგად იღებენ მონაწილეობას და იმარჯვებენ კიდევ. გარდა ამისა, საქართველოში არსებობს არაერთი შემთხვევა, როდესაც ქონების, მათ შორის სახელმწიფო ქონებისა და სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტების (მაგ. ენერჯეტიკა, მოპოვებითი მრეწველობა) მფლობელი კომპანიები ოფშორულ ზონებშია რეგისტრირებული, მათზე ინფორმაციის მოპოვება კი უამრავ სირთულეს უკავშირდება.<sup>3</sup>

<sup>2</sup> ქვეყანა, მცირე სახელმწიფო, ან/და იურისდიქცია (ტერიტორია), რომელიც უცხოური კაპიტალის მოზიდვის სანაცვლოდ სუბიექტებს საგადასახადო და სხვა სახის შეღავათებს სთავაზობს

<sup>3</sup> ოფშორული კომპანიები საქართველოში - რისკები და რეკომენდაციები (2016). ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mzM41c>





2017 წლიდან ევროკავშირმა შექმნა იმ ქვეყნებისა და იურისდიქციების (ტერიტორიების) განახლებადი სია (ე.წ. შავი სია), რომლებიც საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლედ) აქტორებად ითვლებიან. 2021 წლის მდგომარეობით, ეს სია მოიცავს შემდეგ სახელმწიფოებს: ამერიკის სამოა, ფიჯი, გუამი, პალაუ, პანამა, სამოა, ტრინიდადი და ტობაგო, აშშ-ის ვირჯინიის კუნძულები და ვანუატუ.<sup>4</sup> კორუფციისა და ფულის გათეთრების შემთხვევების დამალვის ყველაზე გახმაურებული შემთხვევები სწორედ შავ სიაში მყოფ ქვეყნებს უკავშირდება. გარდა ამისა, ევროპის კავშირის საბჭო იმ ქვეყნებსა და იურისდიქციებს აღრიცხავს (ე.წ. ნაცრისფერი სია), რომელთაც არ/ვერ შეასრულეს გარკვეული ვალდებულებები, თუმცა დამატებითი დრო უკვე განესაზღვრათ მათ შესასრულებლად. აღნიშნულ სიაში მოხვდნენ: კოსტა-რიკა, ჰონგ კონგი, მალაიზია, კატარი, ურუგვაი, იამაიკა, ბოტსვანა, ჩრდილოეთ მაკედონია, თურქეთი, იორდანია, სეიშელის კუნძულები და ტაილანდი.

ბენეფიციარ მესაკუთრეთა იდენტიფიცირების მიზნით, ქვეყნები სხვადასხვა მიდგომებს იყენებენ. მესაკუთრეები მათ მიერ წილის კონკრეტული პროცენტის ფლობის, ხმის მიცემისა უფლებისა და საკუთრების ფლობის მიხედვით განისაზღვრებიან. მაგალითისთვის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ევროკავშირის მეოთხე დირექტივის, ერთიანი ანგარიშგების სისტემისა (CRS) და ინფორმაციის ავტომატური გაცვლის (AEOI) თანახმად, ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს კომპანიის 25%-იან (ან 25%-ზე მეტ) წილს ჩაითვლება ბენეფიციარ მესაკუთრედ.<sup>5</sup> ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში პროცენტული რაოდენობა შესაძლოა იყოს შედარებით დაბალი, ხოლო ზოგიერთი მაღალი რისკის შემცველი სექტორის, მაგალითად, მოპოვებითი დარგების შემთხვევაში წილების ფლობის ზღვარი საერთოდ არ არის დადგენილი.

<sup>4</sup> Council conclusions on the revised EU list of non-cooperative jurisdictions for tax purposes (2021). Council of the European Union. ხელმისაწვდომია: <https://www.consilium.europa.eu/media/52208/st12519-en21.pdf>

<sup>5</sup> A Beneficial Ownership Implementation Toolkit (2019). The Secretariat of the Global Forum on Transparency and Exchange of Information for Tax Purposes Inter-American Development Bank. გვ. 14. ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/tax/transparency/beneficial-ownership-toolkit.pdf>

მიუხედავად კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რაოდენობრივად განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებს მიღმა რეალური მესაკუთრეები (მაკონტროლებლები) საკუთარი საჯაროობის თავიდან აცილების მიზნით, სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. მათ შორის, კონტროლს ახორციელებენ ნომინალური მფლობელის, გარიგების განმახორციელებლის, ნათესაური კავშირის მქონე, ან მენეჯერული პოზიციის მქონე პირების მეშვეობით.

ნომინალური მფლობელები რეალურ მესაკუთრეებს რამდენიმე მიზეზის გამო შეიძლება ანაცვლებდნენ.



**ქონების განკარგვა** - როდესაც პიროვნებას სურს საჩუქრად გადასცეს ქონება მას, ვისაც არ შეუძლია, ან სურვილი არ აქვს მისი განკარგვის, შესაძლოა მჩუქებელმა დათქვას გარკვეული პირობა. მაგალითისთვის, თუ პიროვნება საკუთრებას საჩუქრად გადასცემს ბავშვს, იმ პირობით, რომ მშობელი ჩაითვლება არასრულწლოვანი შვილის კანონიერ წარმომადგენლად - შესაბამისად, საკუთრების იურიდიულ მესაკუთრედ ბავშვის სრულწლოვანებამდე.



**კონფიდენციალობა** - პიროვნებას სურს ფლობდეს გარკვეული სახის ქონებას, თუმცა მედიის მხრიდან მოსალოდნელი პირადი სივრცის ხელყოფის, ან კრიმინალური ჯგუფების მხრიდან თავდასხმის თავიდან არიდების მიზნით, ინარჩუნებს კონფიდენციალობას. ყველაზე ხშირად, კომპანიის რეალური მფლობელის ვინაობის დაფარვის მოტივით მოქმედებენ როგორც ყოფილი, ისე მოქმედი პოლიტიკოსები და საჯარო მოხელეები, რომელთაც ბიზნეს საქმიანობა ეზღუდებათ.



**გადასახადების თაქიდან პრიღვა** - რეალური მესაკუთრეობის დამალვის ფაქტს ხშირად შეხვედებით გადასახადების თავიდან არიდების მიზნით. ამ შემთხვევაში პიროვნება ცდილობს არაკანონიერი გზებით თავიდან აირიდოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან კაპიტალსა და ქონებაზე დაწესებული საგადასახადო ვალდებულების აღსრულება.

# ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის მნიშვნელობა



ბოლო ათწლეულის მანძილზე ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობა გლობალური დღის წესრიგის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დიდი ოცეულის მიერ 2014

წელს მიღებული „ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობის შესახებ მაღალი დონის პრინციპების“ მიღების შემდგომ დაეთმო. G20-ის წევრი ქვეყნები ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობის პრიორიტეტულობასა და ამ კუთხით საჭირო ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე - მაგალითისთვის, ერთიანი რეესტრის შექმნაზე - ერთხმად შეთანხმდნენ.<sup>6</sup>

ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ფართოდ გავრცელებულ და ეფექტიან გზას სწორედ ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის შექმნა წარმოადგენს. **ცენტრალური საჯარო რეესტრი** დაინტერესებულ მხარეებს კომპანიების რეალური მფლობელების ვინაობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში ეხმარება. საჯარო რეესტრის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმის შექმნას ადვოკატირებას უწევენ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები/ინიციატივები, ისე ცალკეული სახელმწიფოები. ინფორმაციის გაცვლა არანაკლებ მნიშვნელობას ატარებს ფინანსური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში. 2016 წელს, 53 სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში ხელი მოეწერა ბენეფიციარ მესაკუთრეთა ირგვლივ ინფორმაციის სისტემატური გაცვლის შესახებ შეთანხმებას.<sup>7</sup>

<sup>6</sup> G20 High-Level Principles on Beneficial Ownership Transparency. ხელმისაწვდომია: <https://www.mofa.go.jp/files/000059869.pdf>

<sup>7</sup> Ali Shalchi and Federico Mor. Registers of Beneficial Ownership. (2021). House of Commons Library. ხელმისაწვდომია: <https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-8259/>

საჯარო რეესტრის შექმნის შემთხვევაში, კომპანიებს ეკისრებათ ვალდებულება დაარეგისტრირონ საკუთარი კომპანია, აწარმოონ თითოეული წევრის რეესტრი და ამავდროულად, წარუდგინონ დოკუმენტაცია ქვეყნის ბენეფიციარ მესაკუთრეთა ოფიციალურ საჯარო რეესტრს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში, ეროვნული მთავრობები კომპანიების შესახებ ინფორმაციის თავმოყრას ახდენენ ბენეფიციარ მესაკუთრეთა არა ცენტრალურ, არამედ რეგიონულ ან სექტორულ რეესტრში.




**რეესტრის ღია მონაცემების სახით გამოქვეყნება** ჟურნალისტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მონაცემთა ბაზების ელექტრონულად წაკითხვად ფორმატში დამუშავებასა და ინფორმაციის მარტივად დამუშავებაში/გადამონმებაში ეხმარება. მაშინ როდესაც, რეესტრის არარსებობის შემთხვევაში მონიტორინგის განმახორციელებელ მხარეს თითოეული კომპანიის ისტორიის, მესაკუთრისა და წევრების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა/მოძიება ინდივიდუალურად უხდება.

ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტების ამაღლებას განსაკუთრებით უწყობს ხელს ევროკავშირი, რომელსაც ფულის გათეთრების აღკვეთის, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფარული ბენეფიციარების გამოვლენის შესახებ მნიშვნელოვანი დირექტივები აქვს მიღებული. ამ კუთხით, პირველი ხელშესახები ნაბიჯი ევროკომისიამ 2015 წელს, მეოთხე დირექტივის მიღებით გადადგა, რომლითაც წევრ ქვეყნებს ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის შექმნა განესაზღვრათ. მეტიც, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ მეხუთე დირექტივის თანახმად, ევროკავშირის წევრ თითოეულ ქვეყანას



2020 წლის იანვრისთვის ბენეფიციარ მესაკუთრეთა საჯარო რეესტრის შექმნა, აგრეთვე ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაციის ამსახველ ეროვნულ რეესტრებს შორის ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფა / დაკავშირება დაევალა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის წევრ 9 ქვეყანას მსგავსი სახის რეესტრი ამ დრომდე არ გააჩნია.<sup>8</sup>

ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრის შექმნის თვალსაზრისით **დიდი ბრიტანეთი** გახლავთ მონინავე ქვეყანა, რომელმაც 2013 წელს დაიწყო საკითხის ადვოკატირება და 2016 წლისთვის **საჯარო რეესტრი** ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის ხელმისაწვდომი გახადა. რეესტრის მიზანია საერთაშორისო კომპანიებში კორუფციისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრობლემის დაძლევა.



სურათი #1: დიდი ბრიტანეთის ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრი

2016 წლის აპრილიდან კომპანიები ვალდებული არიან, საკუთრების ან აქტივების მართვის 25%-იანი წილის ფლობის შემთხვევაში, ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ ინფორმაცია შეიტანონ კომპანიების რეესტრში. გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთი მსგავს ვალდებულებას იმ უცხოური კომპანიებისთვისაც განსაზღვრავს, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე ბიზნეს წარმომადგენლობას ფლობენ. რეესტრის მეშვეობით დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გაეცნონ კომპანიის შესახებ ზოგად ინფორმაციას, წარდგენილი დოკუმენტაციის ისტორიას, ინფორმაციას მენეჯერების ან/და მნიშვნელოვანი კონტროლის მქონე პირების შესახებ, ასევე ბრალდებების /საჩქციების, გადახდისუნარობის ამსახველ ინფორმაციას.

<sup>8</sup> Access Denied? Availability and accessibility of beneficial ownership data in the European Union (2021). Transparency International. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FWZFHR>

მაგალითისთვის შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემული ნიმუში:



# GREATCOM TRADE LLP

Company number **OC390287**

Follow this company

Overview

Filing history

People

More

Registered office address

**Unit 15024, 2nd Floor 6 Market Place, Fitzrovia, London, United Kingdom, W1W 8AF**

Company status

**Dissolved**

Dissolved on

**13 July 2021**

Company type

**Limited liability partnership**


Incorporated on

**9 January 2014**

სურათი #2: კომპანიის შესახებ რეესტრში დაცული ინფორმაციის მაგალითი

როგორც მაგალითზეა მოცემული, საძიებო სისტემას რამდენიმე სექცია აქვს, მათ შორის, კომპანიის ისტორია და მასთან კავშირში მყოფი პიროვნებები.

ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრს დღის განმავლობაში 20,000 უნიკალური მნახველი ჰყავს.



Overview Filing history **People** More

Officers Persons with significant control

**Filter officers**

Current officers

**2 officers / 2 resignations**

**MEEZARTE HOLDING INC.**

Correspondence address  
**New Horizon Building, Ground Floor, 3 1/2 Miles Philip S.W. Goldson Highway, Belize City, Belize**

Role	<b>RESIGNED</b>	Appointed on	Resigned on
	<b>LLP Designated Member</b>	<b>9 January 2014</b>	<b>10 January 2021</b>

Other Corporate Body or Firm [What's this?](#)





Law governed	Legal form	Place registered
<b>BELIZE</b>	<b>INCORPORATED COMPANY</b>	<b>BELIZE</b>

სურათი #3: კომპანიის შესახებ რეესტრში დაცული ინფორმაციის მაგალითი

## რუსეთის საგარეო ურთიერთობების გამოყენების გეგმა

პლატფორმის წვლილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფებისა და აქტივისტების, ასევე გამომძიებელი/მონაცემთა ჟურნალისტების საქმიანობაში, რასაც ამავე წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებული მასალებიც ადასტურებს. კერძოდ, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის გაშუქების პროექტის (OCCRP) მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ თურქმენეთის პრეზიდენტმა, გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა 25.7 მილიონი დოლარის ოდენობის კონტრაქტი, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საკვების იმპორტთან დაკავშირებით, გაერთიანებული სამეფოში რეგისტრირებულ კომპანიას გაუფორმა, რომელსაც მსგავსი საქმიანობის გამოცდილება არ გააჩნდა. საჯარო რეესტრის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციით გამოამჟღავნა, რომ კომპანიის რეალური მესაკუთრე პრეზიდენტის ძმისშვილი, ჰაჯიმირატ რეჯეპოვი გახლდათ<sup>9</sup>.

**უკრაინა** გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც 2015 წლის სექტემბრიდან სავალდებულო გახდა ინფორმაციის წარდგენა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ **ყველა კომპანიისთვის**. ინფორმაცია უნდა დაერთოს კომპანიის რეგისტრაციის ნაწილს ერთიან სახელმწიფო რეესტრში. ეს მოთხოვნები, ასევე, მოქმედებს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც უკვე დარეგისტრირებულნი იყვნენ, სანამ ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდებოდა. უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, **ბენეფიციარი მესაკუთრეა ფიზიკური პირი**, რომელიც:

-  პირდაპირ ან არაპირდაპირ, დამოუკიდებლად ან სხვა ფიზიკურ პირებთან ერთად ფლობს წილის ან ხმის უფლების მინიმუმ 25%-ს,
-  პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ახორციელებს საბოლოო კონტროლს მენეჯმენტზე ან ბიზნეს საქმიანობაზე,
-  ან აკონტროლებს კომპანიის მიერ ხელშეკრულებების დადებას,
-  ან უფლება აქვს გასცეს სავალდებულო მითითებები ან შეასრულოს მმართველი ორგანოს ფუნქციები.

<sup>9</sup> Ruslan Myatiev and Bayram Shikhmuradov. As Turkmenistan People go Hungry, President's Nephew Profits off Food Imports (2021). Organized Crime and Corruption Reporting Project. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3peabV2>



**უკრაინის ერთიან სახელმწიფო რეესტრში**<sup>10</sup> თავმოყრილია ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ - მათი სახელის, გვარის, მამის სახელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაბადების თარიღის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის, პირადობის და პასპორტის ნომრების და ა.შ. მითითებით. რეესტრში სამი სახის სუბიექტს ევალუება რეგისტრაცია: იურიდიული პირი, ფიზიკური პირი - მენარმეები და საზოგადოებრივი გაერთიანებები (Civic formations). აღნიშნულ საკითხს „სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“ სპეციალური კანონი აწესრიგებს. ამას გარდა, უკრაინის მოქმედი კანონმდებლობით (მუხლი 64.1. უკრაინის ეკონომიკური კოდექსი), სანარმოებს ვალდებულებად აქვთ განსაზღვრული საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხს.<sup>11</sup>

Назва атрибута	Значення
Прізвище, ім'я, по батькові	ШЕВЧЕНКО ОЛЕКСАНДР ЄВГЕНІЙОВИЧ
Місцезнаходження	Україна, 69095, Запорізька обл., місто Запоріжжя, ВУЛИЦЯ ГОРЬКОГО, будинок 159 А, квартира 46 46.73 Оптова торгівля деревиною, будівельними матеріалами та санітарно-технічними обладнаннями (основний); 47.52 Роздрібна торгівля залізними виробами, будівельними матеріалами та санітарно-технічними виробами в спеціалізованих магазинах; 47.89 Роздрібна торгівля з лотків і на ринках іншими товарами
Види діяльності	47.52 Роздрібна торгівля залізними виробами, будівельними матеріалами та санітарно-технічними виробами в спеціалізованих магазинах; 47.89 Роздрібна торгівля з лотків і на ринках іншими товарами
Дата державної реєстрації, дата та номер запису в Єдиному державному реєстрі про включення до Єдиного державного реєстру відомостей про фізичну особу-підприємця – у разі, коли державна реєстрація фізичної особи-підприємця була проведена до набрання чинності Законом України “Про державну реєстрацію юридичних осіб та фізичних осіб-підприємців”	Дата державної реєстрації: 20.06.1996 Дата запису: 21.09.2005 Номер запису: 21030170000013374
Дата та номер запису про проведення державної реєстрації	
Місцезнаходження реєстраційної справи	Департамент реєстраційних послуг Запорізької міської ради 04.05.2006, ГОЛОВНЕ УПРАВЛІННЯ РЕГІОНАЛЬНОЇ СТАТИСТИКИ, 21680000; 21.06.1996, 943, ГОЛОВНЕ УПРАВЛІННЯ ДПС У ЗАПОРІЗЬКІЙ ОБЛАСТІ, ОЛЕКСАНДРІВСЬКЕ УПРАВЛІННЯ У М.ЗАПОРІЖЖІ, ОЛЕКСАНДРІВСЬКА ДПІ (ОЛЕКСАНДРІВСЬКИЙ РАЙОН М.ЗАПОРІЖЖЯ), 43143945, (дані про взяття на облік як платника податків); 22.06.1998, 08/11-2861, ГОЛОВНЕ УПРАВЛІННЯ ДПС У ЗАПОРІЗЬКІЙ ОБЛАСТІ, ОЛЕКСАНДРІВСЬКЕ УПРАВЛІННЯ У М.ЗАПОРІЖЖІ, ОЛЕКСАНДРІВСЬКА ДПІ (ОЛЕКСАНДРІВСЬКИЙ РАЙОН М.ЗАПОРІЖЖЯ), 43143945, (дані про взяття на облік як платника єдиного внеску)
Прізвище, ім'я, по батькові особи, яка призначена управителем майна фізичної особи-підприємця	
Дата та номер запису про державну реєстрацію припинення підприємницької діяльності фізичної особи-підприємця, підстава внесення	
Дата та номер запису щодо відміни державної реєстрації припинення підприємницької діяльності фізичної особи-підприємця, підстава внесення	
Дата відкриття виконавчого провадження щодо фізичної особи-підприємця (для незавершених виконавчих проваджень)	
Інформація для здійснення зв'язку	Відомості відсутні

#### სურათი #4: რეესტრში ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ არსებული ინფორმაცია

<sup>10</sup> <https://usr.minjust.gov.ua/content/free-search>

<sup>11</sup> Guide to Beneficial Ownership Information in Ukraine: Legal Entities and Legal Arrangements. (2017). Global Forum on Asset Recovery (GFAR). ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Z1UZiC>

ევროპულ სახელმწიფოთა შორის **სლოვაკეთი** იყო ასევე ერთ-ერთი პირველი, რომელმაც **საჯარო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრი**<sup>12</sup> საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა.

Zobrazíť aj historické údaje
Stiahnuť výpis

### Aktuálne údaje

#### Partner verejného sektora

Obchodné meno	KPMG Slovensko Advisory, k.s.
íčo	31403417
Právna forma	Komanditná spoločnosť
Adresa sídla / miesto podnikania / bydliska	Dvořákovo nábrežie 10, 81102 Bratislava, Slovenská republika
Dátum zápisu	01.02.2017
Dátum výmazu	Nie je
Číslo vložky	6800

#### Oprávnená osoba

Obchodné meno	TATRAAUDIT Bratislava s.r.o.
íčo	35962607
Adresa sídla / miesto podnikania / bydliska	Pave Vukoviča 510/8, 85110 Bratislava - mestská časť Jarovce, Slovenská republika

#### Koneční užívatelia výhod


Meno a priezvisko	Dátum narodenia	Štátna príslušnosť	Adresa	Verejný funkcionár
Ing. Tomáš Ciran	10.11.1971	Slovenská republika	Koprivnická 13, 84101 Bratislava - mestská časť Dúbravka, Slovenská republika	Nie

[Verifikačný dokument \(pdf\)](#)

[Verifikačný dokument \(pdf\)](#)
←

სურათი #5: რეესტრში დაცული ინფორმაცია

<sup>12</sup> <https://rpvs.gov.sk/rpvs>



სლოვაკეთის სამოქალაქო საზოგადოების წევრები რეესტრს აქტიურად იყენებენ იმ კომპანიებს შორის არსებული კავშირის იდენტიფიცირებისთვის, რომლებსაც ჰყავთ ერთი და იგივე ბენეფიციარი მესაკუთრე(ები). რეესტრის გასაჯაროვებიდან პირველივე წლებში გამოძიებულმა ჟურნალისტებმა 190-მდე საჯარო მოხელის იდენტიფიცირება მოახდინეს, რომელთაც ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება ჰქონოდათ შესყიდვებთან დაკავშირებით.<sup>13</sup> რეესტრის ვებგვერდზე ინფორმაციის მოძიება მხოლოდ სლოვაკურ ენაზეა

შესაძლებელი, თუმცა, სასურველი ინფორმაციის ნახვაში მარტივი საძიებო სისტემა და თარგმნის ფუნქცია დაგეხმარებათ. საძიებო სისტემაში კომპანიის ან/და პიროვნების სახელის ჩაწერის შემდგომ ონლაინ პლატფორმა მათ შესახებ არსებულ ინფორმაციას შეჯამებული სახით - PDF ფორმატშიც შემოგთავაზებთ.

### ჩვენს რის მიზნით გამოაშქარებულნი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული შემთხვევა

საერთაშორისო გამჭვირვალობის ჩეხეთის ფილიალმა სწორედ სლოვაკეთის რეესტრის მეშვეობით, ჯერ კიდევ 2018 წელს გამოამჟღავნა<sup>14</sup> ჩეხეთის პრემიერ-მინისტრის, ანდრეი ბაბიშის კავშირი კომპანიასთან, რომელიც ევროკავშირისგან სუბსიდიების სახით ყოველწლიურად მილიონობით ევროს (ჯამში 75 მილიონი ევრო) იღებდა. თუმცა, ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ბაბიშის მიერ ბენეფიციარი მესაკუთრეობის დამალვას უკავშირდება. 2021 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ ოფშორული კომპანიების მეშვეობით პრემიერ-მინისტრმა საფრანგეთში 22 მილიონ დოლარად შეფასებული უძრავი ქონებაც შეიძინა.

<sup>13</sup> Using Slovakia's Beneficial Ownership Register for Impact (2019). Open Government Partnership.

ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZJg1tB>

<sup>14</sup> Out in the Open: How Public Beneficial Ownership Registries Advance Anti-Corruption. (2021). Transparency International.

ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XFCTCU>

საერთაშორისო პრაქტიკის კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთია იმ ქვეყნებიდან, რომელმაც ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის შექმნის ინიციატივა, საკითხის აქტუალობის მიუხედავად, საკმაოდ გვიან დააანონსა. 2021 წლის დასაწყისში გამოცემული „კორპორატიული გამჭვირვალობის აქტი“ შტატებში ოპერირებად ბიზნეს სუბიექტებს ავალდებულებს მათი რეალური მფლობელის შესახებ ინფორმაცია წარადგინონ. აღნიშნული აქტის მიღებით აშშ-მ ბენეფიციარ მესაკუთრეთა ცენტრალური რეესტრის შექმნასაც ჩაუყარა საფუძველი, რომლის განხორციელებაც აშშ-ის სახელმწიფო ხაზინის დაქვემდებარებაში მყოფ, ფინანსურ დანაშაულებათა აღსრულების ქსელს (FinCEN) დაევალა.<sup>15</sup>



<sup>15</sup> Considerations for the Upcoming U.S. Beneficial Ownership Registry (2021). Transparency International U.S. Office.  
ხელმისაწვდომია: <https://us.transparency.org/news/beneficial-ownership-registry-considerations/>

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია რამდენიმე ქვეყნის კომპანიების რეესტრები, სადაც ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ ინფორმაციაც შეიძლება შეგხვდეთ.<sup>16</sup>

ქვეყანა	ვებგვერდის მისამართი	აღწერა
ბელგია	<b>fGov.be</b>	ბელგიაში რეგისტრირებული კომპანიების რეესტრი
ჩინეთი	<b>National Enterprise Credit Information Publicity System</b>	ჩინეთში რეგისტრირებული კომპანიები - რეგისტრირებული კაპიტალის, კანონიერი წარმომადგენლის, რეგისტრაციის თარიღის, ასევე ჯარიმების ისტორიისა და ბიზნეს დარღვევების ჩანაწერების მითითებით.
	<b>Court Enforcement Information Publicity</b>	ჩინეთში მოღვაწე იმ პირებისა და კომპანიების სია, რომელთა საქმიანობაც არაკეთილსინდისიერად იქნა მიჩნეული სასამართლოს მიერ.
	<b>China Judgements Online</b>	ჩინეთის რეგიონული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები
	<b>Cninfo</b>	ჩინური საჯარო კომპანიების ფინანსური ანგარიშები და განცხადებები
	<b>QCC</b>	კერძო კომპანიის მიერ შექმნილი ვებგვერდი, რომელიც ინფორმაციის ერთ-ერთ უდიდეს წყაროს წარმოადგენს კომპანიების შესახებ, მათ შორის სარეგისტრაციო ინფორმაციის, აქციონერთა სტრუქტურის, ბენეფიციარი მესაკუთრის, ავტორიზაციის სერთიფიკატის და ა.შ. მითითებით.
	<b>Qixin</b>	ზემოთ მოცემული QCC-ის მსგავსი ვებგვერდი
ჰონგკონგი	<b>cadastral map</b>	კვიპროსის საკადასტრო რუკა
	<b>offshore companies</b>	კომპანიების რეესტრი, რომელიც იძლევა კომპანიის სახელით, ან სარეგისტრაციო ნომრით ძებნის შესაძლებლობას.
ესტონეთი	<b>Rik</b>	ესტონეთის ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრი
საფრანგეთი	<b>Infogreffe</b>	საფრანგეთის ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრი

<sup>16</sup> აღნიშნული ცხრილის მომზადებისთვის გამოყენებულია Bellingcat-ის საგამოძიებო ჟურნალისტების ონლაინ სახელმძღვანელო: Bellingcat's Online Investigation Toolkit: [bit.ly/bcatttools](http://bit.ly/bcatttools)

გერმანია


TransparencyRegister

გერმანიის ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრი

<p>იხველია</p>	<p><b>Registro Imprese</b></p>	<p>იტალიური კომპანიების რეესტრი, რომელიც გთავაზობთ მონაცემების ფართო სპექტრს: კომპანიის დანიშნულება, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მდებარეობა (იურიდიული მისამართი, ოპერატიული ოფისები ან საწყობები და ა.შ.). დაარსების თარიღი ან როდის დაიწყო კომპანიამ კონკრეტული სერვისის/აქტივობის მიწოდება. რეესტრი მხოლოდ იტალიურ ენაზეა, მაგრამ აქვს ძალიან მარტივი ინტერფეისი. ძირითადი ძიების სერვისი უფასოა, მაგრამ შესაძლებელია კომპანიის შესახებ ანგარიშების და კონკრეტული ინფორმაციის შეძენა.</p>
<p>ლესოცო</p>	<p><a href="http://www.obfc.org.ls/registry/">http://www.obfc.org.ls/registry/</a></p>	<p>განახლებადი ინფორმაცია ლესოტოში რეგისტრირებული კომპანიების, მათი მფლობელებისა და აქციონერების შესახებ</p>
<p>მაპრიკი</p>	<p><a href="https://portalmns.mu/">https://portalmns.mu/</a></p>	<p>მავრიკში რეგისტრირებული კომპანიების რეესტრი</p>
<p>ნამიბია</p>	<p><a href="http://www.bipa.na/search/">http://www.bipa.na/search/</a></p>	<p>ნამიბიაში რეგისტრირებული კომპანიების რეესტრი</p>
<p>ნიგერია</p>	<p><a href="https://publicsearch.cac.gov.ng/ComSearch/">https://publicsearch.cac.gov.ng/ComSearch/</a></p>	<p>ნიგერიაში რეგისტრირებული კომპანიების რეესტრი</p>
<p>საიშელის კუნძულები</p>	<p><a href="http://www.registry.gov.sc/BizRegistration/WebSearchBusiness.aspx">http://www.registry.gov.sc/BizRegistration/WebSearchBusiness.aspx</a></p>	<p>კომპანიების რეესტრი, რომლებიც სეიშელის კუნძულებზე არიან რეგისტრირებულნი</p>
<p>სამხრეთ აფრიკა</p>	<p><a href="http://www.cipc.co.za/za/">http://www.cipc.co.za/za/</a></p>	<p>საძიებო სისტემა კომპანიის სახელითა და კომპანიის სარეგისტრაციო ნომრით სამხრეთ აფრიკაში რეგისტრირებული კომპანიების შესახებ მოგაწვდით ინფორმაციას. ასევე, ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია კომპანიის დირექტორის სახელის მეშვეობით.</p>
<p>შვეიცარია</p>	<p><b>Zefix</b></p>	<p>შვეიცარიაში რეგისტრირებული კომპანიების რეესტრი</p>
<p>ამერიკის შეერთებული შტატები</p>	<p><b>ImportYeti</b></p>	<p>მონაცემთა ბაზა შეიცავს აშშ-ის საზღვაო გამშვები პუნქტის 70 მილიონზე მეტ ჩანაწერს.</p>
	<p><b>LittleSis</b></p>	<p>პლატფორმა, რომელიც პოლიტიკასა და ბიზნესში (უმეტესად აშშ-ში) მოღვაწე პირების იდენტიფიცირებაში დაგეხმარებათ.</p>

# ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მონიტორინგისა და საგამოძიებო საქმიანობის მნიშვნელობა


ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობის მიმართ გლობალურ დონეზე ინტერესი დღითიდღე იზრდება. ისეთი ქვეყნები და ორგანიზაციები, როგორებიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (EITI) და სხვა წამყვანი აქტორები, დამატებით ნაბიჯებს დგამენ და სხვა ქვეყნებსაც ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობის სტანდარტის ამაღლებისკენ მოუწოდებენ. საკითხის აქტუალობა გაიზარდა ჟურნალისტებისა და სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფების მიერ ჩატარებული გამოძიებების შემდეგ. ბოლო წლებში მათი დამსახურებით მრავალი კორუფციული სქემა და მნიშვნელოვანი დარღვევები გამოაშკარავდა, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გაზრდილმა ხელმისაწვდომობამ.



საინტერესო გახლავთ **ლუქსემბურგის შემთხვევა**, რომელიც ევროკავშირის მიერ კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ წევრ სახელმწიფოებში მიმართული უამრავი ძალისხმევის მიუხედავად, ბენეფიციარ მესაკუთრეთა განსაკუთრებულად გაუმჭვირვალე პრაქტიკის გამო არაერთხელ მომხვდარა ყურადღების ცენტრში. მართლაც, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ლუქსემბურგი დასახელდა, ფულის გათეთრების ყველაზე მაღალი რისკის შემცველ მონინავე ქვეყნად.<sup>17</sup>

<sup>17</sup> Prosser, David. OpenLux: exposing money laundering in Luxembourg. (2021) Arachnys. ხელმისაწვდომია: <https://www.arachnys.com/openlux-exposing-money-laundering-in-luxembourg/>

2018 წელს, ევროკავშირის ძალისხმევით, ლუქსემბურგის მთავრობა დათანხმდა ბენეფიციარ მესაკუთრეთა საჯარო რეესტრის შექმნას. 2019 წლის მარტიდან დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია ქვეყნის საზღვრებში რეგისტრირებული კომპანიების საბოლოო მფლობელების შესახებ. თუმცა, საძიებო სისტემას არ გააჩნდა მესაკუთრის სახელით ძებნის ფუნქცია. ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელი იყო მხოლოდ კომპანიის სახელის, ან რეგისტრაციის ნომრის ცოდნის შემთხვევაში, რაც წინააღმდეგობაში მოდის საჯარო რეესტრის მთავარ დანიშნულებასთან.<sup>18</sup>



#### სურათი #6: რეესტრის საძიებო სისტემა

ამ გამოწვევების მიუხედავად, ფრანგული გამოცემა Le Monde-ის ორგანიზებით საფუძველი ჩაეყარა ხანგრძლივ ჟურნალისტურ გამოძიებას (OpenLux). ვებგვერდიდან მოპოვებული 3 მილიონზე მეტი ადმინისტრაციული აქტი და ფინანსური ანგარიში მონიტორინგისათვის გადაეცა ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის გაშუქების პროექტს (OCCRP) და მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სხვა პარტნიორებს. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად, რომელიც მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა და 1995-2020 წლებში მოღვაწე 140,000 კომპანიის შესახებ არსებულ ინფორმაციას მოიცავდა, **დადგინდა, რომ კომპანიების 80% ბენეფიციარ მესაკუთრეს მალავდა.**

<sup>18</sup> Tiourina, Svetlana. OpenLux. (2021) Organized Crime and Corruption Reporting Project.

ხელმისაწვდომია: <https://www.occrp.org/en/openlux/>





OpenLux-მა ლუქსემბურგში არსებული ბენეფიციარ მესაკუთრეთა გაუმჭვირვალე პრაქტიკა კიდევ ერთხელ დააყენა მსოფლიო დღის წესრიგში.

ჟურნალისტური გამოძიების შედეგად გამოაშკარავდა **ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული კორუფციული შემთხვევა**, რომელიც უბზეკეთის პრემიერის, ისლამ კარიმოვას ქალიშვილს, გულნარა კარიმოვას უკავშირდება. კარიმოვას მიერ ფულის სავარაუდო გათეთრებისა და სხვა მძიმე ფინანსურ დანაშაულებზე შვედური მედია, ზემოხსენებულ კორუფციის გაშუქების პროექტის (OCCRP) გუნდთან ერთად, 2012 წელს ალაპარაკდა.

უძრავი ქონებისა და ძვირადღირებული საგნების ყიდვით გამოწვეული ეჭვის დასაფარად პრემიერის ქალიშვილი დიდი ხნის მანძილზე მალავდა საკუთრებას. გარდა ამისა, ჟურნალისტებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ კარიმოვას ოფშორული ანგარიში, საიდანაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობის თანხა გაედინებოდა.<sup>19</sup>

<sup>19</sup> Sabados, Katarina. How to Follow the Money: Tips for Cross-border Investigations. (2018). Global Investigative Journalism Network. ხელმისაწვდომია: <https://gijn.org/2018/07/09/how-to-follow-the-money-tips-for-cross-border-investigations/>


საქმეში შვედეთის, მოგვიანებით კი ჰოლანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური საგამოძიებო უწყებები მალევე ჩაერთნენ. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ გულნარა კარიმოვამ შვედური, ჰოლანდიური და რუსული წარმომავლობის სატელეკომუნიკაციო კომპანიების, TeliaSonera-სა და VimpelCom-ის უზბეკეთის ბაზარზე შესვლის მხარდაჭერის სანაცვლოდ, 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ფულისა და სხვადასხვა კომპანიებში წილების სახით მიიღო.

## გამოძიებული შემთხვევის მაგალითი<sup>20</sup>

სახელმწიფო სახსრებიდან მითვისებული 300 მილიონი რუსული რუბლი (11 მილიონი აშშ დოლარი) კომპანია K-ის ანგარიშიდან გადაირიცხა კომპანია R-ის ანგარიშზე. კომპანია R (დელავერის კორპორაცია) წარმოადგენს სწორედ იმ ოფიციალური პირის მეუღლის საკუთრებას, რომლის ირგვლივაც დაიწყო მონიტორინგი. იმავე დღეს, კომპანია R-ის მხრიდან 11 მლნ აშშ დოლარი სესხის სახით გადარიცხულ იქნა კომპანია A-ის ანგარიშზე, კვიპროსული ბანკის მეშვეობით. კომპანია A-მ თავის მხრივ 11 მლნ აშშ დოლარზე მეტი გადარიცხა ამერიკული კომპანია D-ის ანგარიშზე, საფრანგეთში უძრავი ქონების შეძენის მიზნით. მოგვიანებით, კომპანია D-მ 12 მლნ აშშ დოლარზე მეტი გადარიცხა ლუქსემბურგში, გადარიცხვის დანიშნულებაში კი გაკეთდა შემდეგი მითითება, რომ ამერიკული ბანკი წარმოადგენდა ზემოხსენებული ოფიციალური პირის მეუღლის მიერ ფრანგული კომპანიის წილის შესყიდვისა და უძრავი ქონების ფლობისთვის განხორციელებულ გარიგების თავდებს. გარიგება შედგა ფრანგული კომპანიის S.S.-ის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ლუქსემბურგის S.D. SA-ის შვილობილ კომპანიას და ორივე მათგანი წარმოადგენს ერთი პიროვნების საკუთრებას.

**აღნიშნული შემთხვევის გამოძიებით გამოვლინდა კორუფციული ჯაჭვი, რომლითაც თანამდებობის პირმა მითვისებული სახელმწიფო სახსრებით შეიძინა უძრავი ქონება.**

<sup>20</sup> Concealment of Beneficial Ownership. (2018) The Financial Action Task Force (FATF). ხელმისაწვდომია: <http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/FATF-Egmont-Concealment-beneficial-ownership.pdf>



# საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს ვიზიონი



**საქართველოში ბენეფიციარ მესაკუთრეთა ცენტრალური საჯარო რეესტრი არ იწარმოება,** რის შედეგადაც ბოლო წლებში არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად ითხოვენ. კვლევები აჩვენებს, რომ საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიები საქართველოში ფლობენ მნიშვნელოვან აქტივებს (უძრავი ქონება, კაპიტალი და ა.შ.) და მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს თანახმად, საქართველოს სამენარმეო რეესტრში 3,200-მდე კომპანიაა რეგისტრირებული, რომელთა მთლიანი ან გარკვეული წილის მფლობელი ოფშორში რეგისტრირებული კომპანიაა.<sup>21</sup>

გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტებიდან გამომდინარე, **სამოქალაქო საზოგადოებისთვის რთულია გაგება, თუ ვინ დგას ცალკეული კომპანიების უკან,** რაც ზრდის რისკებს ორგანიზებულ დანაშაულთან, კორუფციასთან და ინტერესთა შეუთავსებლობასთან მიმართებაში.

სახელმწიფოს მიერ ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის პოლიტიკიდან ზოგად გამონაკლისს წარმოადგენს **საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“<sup>22</sup>**, რომლის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი არ შეიძლება იყოს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ

<sup>21</sup> ოფშორული კომპანიები საქართველოში: ბიზნეს ინტერესები და კორუფციის რისკები (2021). საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Ga2IML>

<sup>22</sup> საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=61>

ან ირიბად ფლობს ოფშორულ  
ზონაში რეგისტრირებული პირი.

ხსენებული კანონი ბენეფიციარ  
მესაკუთრეთა ვინაობის გამ-  
ჟღავნებას იმ პირებისთვის გან-  
საზღვრავს, რომლებიც ფულად,  
ან სხვა სახის სარგებელს მაუნ-  
ყებლის საქმიანობიდან იღებენ.  
ამასთან, მაუნყებლობის შე-  
სახებ კანონის თანახმად,  
**კომუნიკაციების ეროვნული  
კომისია ახდენს მაუნყებ-  
ლის საქმიანობის განმახორ-  
ციელებელ პირთა ავტორი-  
ზაციას და ანარმოებს ავტო-  
რიზებულ პირთა უწყებრივ  
რეესტრს.**<sup>23</sup> **რეესტრი**, ელექ-  
ტრონული სახით, ნებისმიერი  
დაინტერესებული პირისთვის  
საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**პირი - კავკასუს ონლაინი**

**ინფორმაცია სანარმოს შესახებ**

დასახელება კავკასუს ონლაინი  
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა შპს  
საიდენტიფიკაციო კოდი 211380833 ამონაწერი

**სანარმოს იურიდიული მისამართი**

ქვეყანა საქართველო  
ქალაქი/დაბა/სოფელი თბილისი  
რაიონი დიდუბე-ჩუღურეთი  
მისამართი წინამძღვრიშვილის ქ. N160  
საფოსტო ინდექსი 0108  
ტელეფონი 2480000  
ფაქსი 2480048  
ელ. ფოსტა info@co.ge  
ვებ გვერდი www.co.ge

**სანარმოს რეგისტრაციის პარამეტრები**

რეგისტრაციის ორგანო ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო  
ქვეყანა საქართველო  
ქალაქი/დაბა/სოფელი თბილისი  
რაიონი ვაკე-საბურთალო  
რეგისტრაციის ნომერი 5ა/4-1930  
რეგისტრაციის თარიღი 19.11.1998  
ბოლო ცვლილებების თარიღი 30.07.2021

სურათი #7: ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრი

<sup>23</sup> <https://registry.comcom.ge>






ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ ჩანაწერი გვხვდება საქართველოს **კანონში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ**.<sup>24</sup> აღნიშნული კანონით, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ორგანოდ განსაზღვრულია სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელიც აღრიცხავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშვალდებულ პირებს (ფინანსური ინსტიტუტები<sup>25</sup>), არასაფინანსო საქმიანობის განმხორციელებელ პირებს<sup>26</sup> და საჯარო დაწესებუ-

<sup>24</sup> საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=2>

<sup>25</sup> არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი; არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი; სადაზღვევო ბროკერი, გადაზღვევის ბროკერი; ვალუტის გადამცვლელი პუნქტი; კომერციული ბანკი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; საბროკერო კომპანია; საგადახდო მომსახურების პროვაიდერი; სადაზღვევო ორგანიზაცია; სალიზინგო კომპანია; სესხის გამცემი სუბიექტი; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი; საინვესტიციო ფონდი


<sup>26</sup> ადვოკატი, საადვოკატო ბიურო; ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი; ნოტარიუსი; სერტიფიცირებული ბუღალტერი; იურიდიული პირი, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს და რომლის სახელით მოქმედებს სერტიფიცირებული ბუღალტერი; აუდიტორი, აუდიტორული (აუდიტური) ფირმა; ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმხორციელებელი პირი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური

ლებებს<sup>27</sup>) და მათგან იღებს ინფორმაციას საექვო და სხვა გარიგებების შესახებ, ანალიზებს მას და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ გარიგება საექვოა და ხორციელდება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ან/და სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, სხვა ორგანოსგან ან პირისგან ნებართვის მიღების გარეშე, **გადასცემს ამ ინფორმაციას და მის ხელთ არსებულ სათანადო მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს**. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკისგან განსხვავებით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ აღრიცხული სუბიექტების საჯაროობა უზრუნველყოფილი არ არის. რაც შეეხება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისა და შემოსავლების სამსახურისთვის გადაცემულ საქმეებს,<sup>28</sup> 2017-2020 წლების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



<sup>27</sup> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური

<sup>28</sup> სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2020 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: [https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO\\_Annual\\_Report\\_2020\\_28.04.21.pdf](https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO_Annual_Report_2020_28.04.21.pdf)



სურათი #8: ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისა და შემოსავლების სამსახურისთვის გადაცემული საქმეების სტატისტიკა

აღსანიშნავია, რომ სამსახური ამზადებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნულ ანგარიშსა და სამოქმედო გეგმას, რომელიც არის საჯარო და ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას, სახელმწიფო საიდუმლოებას ან რომლის გამოქვეყნებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საქართველოში მიმდინარე გამოძიებას.

ამავე კანონის მე-19 მუხლი მაღალი რისკის იურისდიქციებსაც განსაზღვრავს. კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ასეთ იურისდიქციას წარმოადგენს ქვეყანა ან ტერიტორია, რომელშიც ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სისტემას სერიოზული ნაკლოვანებები

აქვს. მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხას საქართველოს ეროვნული ბანკი გასაზღვრავს.


გარდა გემოსხენებულისა, ბენეფიციარ მესაკუთრეს განმარტავს საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ,<sup>29</sup> რომლის თანახმად, კომერციულ ბანკებს აქვთ ვალდებულება, ფლობდნენ სრულ ინფორმაციას ბანკის თითოეული ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს წილის 10 პროცენტზე მეტს. კომერციული ბანკი ანგარიშვალდებულია ეროვნულ ბანკთან, რაც ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს. თუ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ წარმოდგენილია არასაკმარისი ან არაზუსტი ინფორმაცია, მას უფლება აქვს აღნიშნული გადაამოწმოს ან დააზუსტოს უშუალოდ ბენეფიციარ მესაკუთრესთან.



<sup>29</sup> საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=39>

ასევე, კანონის თანახმად, კომერციულ ბანკები ვალდებული არიან **საჯაროდ გამოაქვეყნონ ეს ინფორმაცია თავიანთ წლიურ ანგარიშში**. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ასეთი ინფორმაციის მიწოდებისა და გამოქვეყნების წესს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

## ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მონიტორინგისა და საგაუმოძიებო საქმიანობის პროცესი



კომპანიების, ან ინდივიდუალური პირების ირგვლივ ახალი ინფორმაციის მიღების, ან გადამონმების რამდენიმე გზა არსებობს. კომპლექსური მიდგომა მონიტორინგის განმახორციელებელ პირს უტყუარ ინფორმაციამდე მისვლაში დაეხმარება, რაც ღია მონაცემების, საჯარო რეესტრებისა და კომპანიების ვებგვერდების გამოყენების პარალელურად ოფიციალური ჩანაწერების, სახელმწიფო შესყიდვების, სამაგიდო კვლევებისა და სოციალური მედიის გამოყენებასაც გულისხმობს.





## რეკომენდაცია #1

**კომპანიების ბენეფიციარი მფლობელების დასადგენად, გადაამოწმეთ საერთაშორისო პლატფორმებსა და სხვა ქვეყნების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრებში გამოქვეყნებული ინფორმაცია.**

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში არსებული პრაქტიკა ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ ინფორმაციის მოძიების მწირ საშუალებებს იცნობს, **პირველ ეტაპზე, საერთაშორისო პლატფორმების გამოყენება დაგეხმარებათ.** მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში ეკონომიკურ საქმიანობას ხშირად ეწევიან ფარული ბენეფიციარები, რომლებიც ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიების მეშვე-

ობით ახორციელებენ ინვესტირებას, მონაწილეობენ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო პროექტების განხორციელებაში და ა.შ. ზემოთ მოცემული იყო რამდენიმე ქვეყნის რეესტრი. დამატებით წარმოგიდგინთ სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმებს, სადაც ჟურნალისტებისგან და ცალკეული ოფიციალური რეესტრებიდან მოპოვებული მონაცემები არის თავმოყრილი.

## OFFSHORE LEAKS DATABASE

გამომძიებელი ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმის (ICIJ) ყველაზე მსხვილი პლატფორმა **ოფშორულ კომპანიებზე**,<sup>30</sup> სადაც გამოქვეყნებულია კომპანიებიდან, აგრეთვე სხვადასხვა დანესებულებებიდან **გაჟონილი მასალების შედეგად მომზადებული მასშტაბური ჟურნალისტური გამოძიების შედეგები** - „პანამის დოკუმენტები“, „სამოთხის დოკუმენტები“, „ბაჰამის მასალები“, ასევე, მომავალში პლატფორმაზე განთავსდება საგამოძიებო ჟურნალისტიკის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური გამოძიების შედეგები - „**პანდორას დოკუმენტები**“. პანდორას დოკუმენტების გავრცელებამდე, უპრეცედენტო გამოხმაურება პანამის დოკუმენტების გაჟონვას მოჰყვა. მასალა მოიცავდა ოფშორში

<sup>30</sup> <https://offshoreleaks.icij.org>

რეგისტრირებული ერთ-ერთი უდიდესი იურიდიული კომპანიის, მოსაკ ფონსეკას (Mossack Fonseca) მილიონობით დოკუმენტს, რაც ანონიმური წყაროებით აღმოჩნდა გერმანულ გაზეთ Süddeutsche Zeitung-ის ხელში. სწორედ ამ უკანასკნელმა გაუზიარა დოკუმენტები საგამოძიებო ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმს.

ამ ეტაპზე, პლატფორმა მოიცავს **ინფორმაციას 785,000-ზე მეტი ოფშორული ანგარიშის შესახებ**, რომლებიც 200-ზე მეტ ქვეყანას/იურისდიქციას უკავშირდება. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ვებგვერდზე ხელმისაწვდომი მონაცემების ღირებულება შეუფასებელია საგამოძიებო ჟურნალისტებისა და სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფებისათვის, რადგან ის გაუმჭვირვალე სტრუქტურებისა და კომპანიების რეალური მესაკუთრეების შესახებ გამოჟონილ ინფორმაციას შეიცავს.

**ICJ OFFSHORE LEAKS DATABASE**  
by The International Consortium of Investigative Journalists

ABOUT DOWNLOAD **SUPPORT US**

**This data should be public.**

We need your support to keep it that way.  
Make a donation to keep it free, open and accessible.

**DONATE NOW**

Find out who's behind more than **785,000** offshore companies, foundations and trusts from the **Panama Papers**, the **Offshore Leaks**, the **Bahamas Leaks** and the **Paradise Papers** investigations.

**Search by country**  
People, companies and addresses connected to offshore entities

**Search by jurisdiction**  
Offshore companies and trusts

**WESLEY K. CLARK**  
Candidate for U.S. Democratic Party presidential nomination

Explore the ...  
**PARADISE PAPERS POWER PLAYERS**  
Explore the offshore connections of world leaders, politicians and their relatives and associates.

Enter a name here or just filter by country to see a full list of names


All countries **SEARCH**

სურათი #9: პორტალის საძიებო სისტემა

გამომდინარე იქიდან, რომ მოპოვებული ინფორმაცია უმეტესწილად ეყრდნობა გაუთილ ჩანაწერებს, მას არ აქვს კორპორაციების სტანდარტული რეესტრის სახე, ამასთან, შესაძლოა გარკვეული სახის ინფორმაცია მეორდებოდეს.

ოფშორულ კომპანიებთან დაკავშირებული პირების შესახებ მონაცემების მოპოვება შესაძლებელია ქვეყნის, აგრეთვე, პირის სახელის მიხედვით. საძიებო სისტემა გირჩენებთ როგორც ცალკეულ პირებთან დაკავშირებულ კომპანიებს, ისე აღნიშნული კომპანიების საქმიანობაში მათი ჩართულობის დეტალებს.

გარდა ბემოაღნიშნულისა, Offshore Leaks Database-ზე მონაცემები გამოქვეყნებულია პოლიტიკაში მოღვაწე ყოფილი ან მოქმედი თანამდებობის პირების მიხედვით. ინდივიდუალური პირების შესახებ განთავსებულ მონაცემებში შედის მათი ბიოგრაფია, ჟურნალისტური გამოძიების შედეგები და აღნიშნულ შედეგზე მათივე შეფასებები, მონაცემთა ბაზები ყველა იმ კომპანიაზე, რომელსაც კონკრეტული პიროვნება უკავშირდება ან უკავშირდებოდა.



**THE POWER PLAYERS** from [the Paradise Papers](#)

Explore the offshore connections of world leaders, politicians and their relatives and associates. [Explore all the players](#)

**VALERIY VOSHCHESKY**  
Vice prime minister, Ukraine

**ALEJANDRO GERTZ MANERO**  
Former national security secretary, Mexico

**PAUL MARTIN**  
Former prime minister, Canada

სურათი #10: პოლიტიკური ფიგურების მიხედვით პორტალის საძიებო სისტემა

# OCCRP ID

**საგამოძიებო პლატფორმა (Dashboard)**<sup>30</sup> - იგი აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნების ბიზნეს რეგისტრების ბმულებს და ჟურნალისტების მიერ სხვადასხვა საჯარო თუ პირადი წყაროებიდან მოპოვებულ 1,000-ზე მეტ მონაცემსა და გაჯონილ დოკუმენტებს. პლატფორმის მეშვეობით შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია 180-მდე ქვეყანაში მოღვაწე კომპანიების, მათი მისამართებისა და მმართველი რგოლის შესახებ.



# OPEN OWNERSHIP

ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებზე დაყრდნობით შექმნილი გლობალური რეესტრი - **Open Ownership**<sup>32</sup> - ამ მომენტისთვის **6 მილიონზე მეტი კომპანიის ირგვლივ არსებულ მონაცემებს აერთიანებს**. ღია მმართველობის პარტნიორობასთან (OGP) თანამშრომლობით, პლატფორმა პერიოდულად აფართოებს მონაცემთა მოცულობას იმ ქვეყნებიდან, რომელთაც ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ საჯარო რეესტრის შექმნის ვალდებულება

აქვთ აღებული. „საკუთრების ღიაობის რეესტრის“ მეშვეობით, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისთვის ხელმისაწვდომია კომპანიის მისამართი, მესაკუთრეების სახელები და გვარები, მათი დაბადების თარიღი, ქვეყნის მოქალაქეობა და ა.შ. პლატფორმა მონაცემების ვიზუალური სახით წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

<sup>31</sup> <https://id.occrp.org>

<sup>32</sup> <https://register.openownership.org>

სურათი #11: გლობალური რეესტრის საძიებო სისტემა

გარდა რეესტრისა, პლატფორმის **მთავარი გვერდის** მეშვეობით შეძლებთ გაარკვიოთ, რომელ ქვეყნებს აქვთ აღებული ვალდებულებები ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობაზე, ასევე, რა ეტაპზე იმყოფებიან მათი შესრულების კუთხით.

# OCCRP ALEPH

**The Aleph data platform**<sup>33</sup> პლატფორმა აერთიანებს როგორც მიმდინარე, ისე ძველი მონაცემთა ბაზების, კვლევების, დოკუმენტებისა და გაუთხილი ინფორმაციის არქივს, რომელიც მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს კავშირების, კორუფციული სქემებისა და პოლიტიკური გავლენების აღმოჩენაში ეხმარება. **230-ზე მეტ ღია წყაროზე დაყრდნობით**, პლატფორმაზე მუდმივად ხდება ინფორმაციის განახლება, ხოლო აკრედიტირებული ჟურნალისტებისთვის დამატებით ხელმისაწვდომია მტკიცებულებები გაუთხილი ინფორმაციის კატეგორიიდან.

პლატფორმაზე მოცემული საძიებო სისტემა მომხმარებელს ინფორმაციაზე წვდომის მრავალმხრივ გზებს, მათ შორის, ქვეყნის, პიროვნების სახელის, ელექტრონული ფოსტის, მისამართის,



კომპანიის დასახელების, სასამართლო გადაწყვეტილებების და ა.შ. ძებნის შესაძლებლობას სთავაზობს. გარდა ამისა, ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები შეგიძლიათ **მოიძიოთ სექციების მიხედვით**, მაგალითად, კომპანიების ვებგვერდები, საბანკო ანგარიშები, ლიცენზიები, იურიდიული პირები, საჯარო დაწესებულებები, ფოტო და ვიდეო მასალები, ელექტრონული მიმწერები და სხვა.

მონიტორინგის განხორციელების პროცესს შესაძლოა მნიშვნელოვნად დაეხმაროს თავად მონაცემთა ბაზების სექცია, სადაც მონაცემები განთავსებულია კომპანიების რეესტრის, არქივის, გაუთხილი ინფორმაციის, მინის რეესტრის, სანქციების და სხვა კატეგორიების მიხედვით.

<sup>33</sup> <https://data.occrp.org>

Entity types		Dataset categories		Countries and territories	
Web pages	1,514,213	Company registries	50	Georgia	9
Bank Accounts	334,396	News archives	71	Malta	3
People	45,215,939	Grey literature	16	Togo	2
Documents	8,638,807	Leaks	10	Tanzania	3
Images	447,219	Court archives	19	Kenya	11
Files	1,388,356	Gazettes	19	Ghana	3
Packages	39,694	Licenses and concessions	17	South Africa	7
Folders	69,293	Procurement	43	Austria	3
Tables	225,053	Land registry	9	Albania	4
Workbooks	63,612	Persons of interest	25	Bosnia & Herzegovina	16
E-Mails	561,587	Regulatory filings	7	Croatia	5
Text files	1,083,157	Document libraries	5	North Macedonia	8
Licenses	888,596	Air and maritime registers	3	Serbia	10
Legal entities	31,646,061	Financial records	5	Slovenia	6
Organizations	1,334,818	Sanctions lists	9	Kosovo	4
Real estates	22,854,100			Montenegro	8
Contracts	25,100,011			Zambia	4
Companies	51,733,919			Uganda	4
Public bodies	347,236			Congo - Kinshasa	3
Airplanes	1,927			Namibia	3
Court cases	4,025,121			Malawi	2
Assessments	27,289			Guinea	2
Videos	743			Rwanda	2
Vessels	13,948			United States	46
Assets	158,946			Germany	8

სურათი #12: პლატფორმის საძიებო განყოფილება

უახლესი ინტერფეისის მეშვეობით პლატფორმაზე განთავსებულ ელექტრონულ მიმონერებზე, Word და PDF ფაილებზე, ხელშეკრულებებსა და სხვა ტიპის დოკუმენტაციაზე წვდომა მომხმარებლისთვის მარტივი და კომფორტულია. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია 54-მდე ენას შორის მისთვის სასურველი აირჩიოს.

Some sources are hidden from anonymous users. [Sign in](#) to see all results you are authorised to access.

More than 10,000 results Date distribution Export

Name	Dataset	Countries	Date
EMAIL EMAIL, 7 RUE DES COQUERELLES, 02600 MORTEFONTAINE, FRANCE...	France Companies Index	France	2005-02-21
EMAIL EMAIL, 2 SQUARE LA FAYETTE, 49000 ANGERS, FRANCE...	France Companies Index	France	2016-05-13
EMAIL EMAIL, 37 RUE DE FORMIGNY, 14000 CAEN, FRANCE...	France Companies Index	France	2012-05-21
EMAIL EMAIL, 28 RUE DE LA GARE, 08800 LES HAUTES RIVIERES, FRANCE... EMAIL, 21 RUE DE LINCHAMPS, 08800 LES HAUTES RIVIERES, FRANCE...	France Companies Index	France	2012-12-28
email@stefanoforesti.com email@stefanoforesti.com...email@stefanoforesti.com...	HBGary leaked emails		-
Email OffersOnDemand Email OffersOnDemand...	ENRON Emails		-
* CLAUDE EMAIL CLAUDE EMAIL...	New York State Departm		-


სურათი #13: პლატფორმაზე განთავსებული ელექტრონული მიმონერების მაგალითები



# OPEN CORPORATES

ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ღია მონაცემთა პორტალი კომპანიების შესახებ,<sup>34</sup> რომელიც ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიის წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომს ხდის სტრუქტურირებულ მონაცემებს 200,000-მდე კომპანიის შესახებ, ქვეყნებს კი მათი ღიაობის მიხედვით შეფასების 100 ქულიანი სისტემით აფასებს.


საძიებო სისტემაში კომპანიის ძებნისას მომხმარებელს შეუძლია მონიშნოს ის ქვეყანა/ტერიტორია, რომლის იურისდიქციის ფარგლებშიც ეძებს სასურველ ინფორმაციას.



სურათი #14: პორტალის საძიებო სისტემა

ინფორმაციაზე დამატებითი წვდომა შესაძლებელია გამოყენებითი პროგრამების ინტერფეისის (API) შექმნის საშუალებით. გარდა ამისა, OpenCorporate-ის მაღალკვალიფიციური გუნდი დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით ტრენინგების ჩატარებას.

<sup>34</sup> <https://opencorporates.com>



## STAR ASSET RECOVERY

მსოფლიო ბანკისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) ერთობლივი ინიციატივის - StAR Asset Recovery Watch-ის მიზანია კორუფციის გზით მიღებული შემოსავლების ირგვლივ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის თავმოყრა და სისტემატიზაცია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პროკურატურისა და საგამოძიებო უწყებების მხრიდან გასაჯაროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პლატფორმაზე განთავსებულია საჯარო მონაცემთა ბაზები.<sup>35</sup> გარდა ამისა, StAR-ის გუნდი 23 ქვეყნის პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე წარმოგვიდგენს ბენეფიციარ მესაკუთრეთა ინდივიდუალურ გზამკვლევებს.

## PANJAVA

გამომძიებელი და მონაცემთა ჟურნალისტებისთვის საინტერესო და ვრცელი მონაცემთა ბაზა გახლავთ Panjiva,<sup>36</sup> რომელიც გლობალური ვაჭრობის გამჭვირვალობის შესახებ ინფორმაციას აერთიანებს. პლატფორმაზე თავმოყრილია ექსპორტსა და იმპორტში ჩართული ამერიკული, ჩინური, ინდური, სამხრეთ ამერიკული და სხვ. კომპანიების შესახებ არსებული მონაცემები. დაინტერესებულ პირებს პლატფორმის გამოწერის (Subscribe) და მათთვის საინტერესო კომპანიის/ვაჭრობის სფეროს მითითების შემთხვევაში, საშუალება აქვთ მასალის განახლებისთანავე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეტყობინება მიიღონ.

<sup>35</sup> <https://star.worldbank.org/asset-recovery-watch-database>

<sup>36</sup> <https://panjiva.com>



## რეკომენდაცია #2

**დეტალურად შეისწავლეთ კომპანიების ოფიციალურ საკომუნიკაციო არხებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია**

კომპანიის შესახებ ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ **მათი ვებგვერდის გადამონშებით** დაიწყეთ. განსაკუთრებით, საინტერესო მასალას შესაძლოა მსხვილი კორპორაციების შემთხვევაში მიაკვლიოთ.<sup>37</sup> თავდაპირველად ყურადღება გაამახვილეთ **კომპანიის ისტორიის** და ძირითადი აღწერის სექციაზე.

შესაბამის სექციაში მოიძიეთ **კომპანიის წლიური ანგარიშები** და დააკვირდით წინა წლებში განხორციელებულ საქმიანობას ან სხვა თქვენთვის საჭირო დეტალებს.

კომპანიის ვებგვერდზე შესაძლოა მნიშვნელოვანი **ფინანსური ინფორმაციაც** ნახოთ. შეგიძლიათ დამატებით გამოიყენოთ წლიური ანგარიშების ელექტრონული პლატფორმა **ProQuest Historical Annual Reports**,<sup>38</sup> რომელიც კომპანიების ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშების ერთ სივრცეში თავმოყრას უზრუნველყოფს და განკუთვნილია ბიზნესის, ისტორიის, ეკონომიკის და სხვა მიმართულების მკვლევრებისთვის.

სიღრმისეულად **გაეცანით პრესრელიზებს**. შესაძლოა აქ აღმოაჩინოთ ის მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია, რაც მედიის ყურადღების მიღმა დარჩა. პრესრელიზი კომპანიის ოფიციალური პოზიციის პირველწყაროდ მიიჩნევა, შესაბამისად, თავისუფლად შეგიძლიათ ძველი პრესრელიზი ინფორმაციის წყაროდ გამოიყენოთ.

კარგად შეისწავლეთ ვებგვერდზე **განთავსებული ბიოგრაფიული მონაცემები**, განსაკუთრებით მენეჯერულ პოზიციებზე მყოფი პირების შესახებ. გადაამოწმეთ აღნიშნული პირების შესახებ ღია წყაროებში დაცული მონაცემებიც. ასევე, გადაამოწმეთ რა ტიპის ინფორმაცია იძებნება მათი აღნიშნულ კომპანიაში საქმიანობისა თუ კავშირების შესახებ.

<sup>37</sup> Mattera, Philip. Dirt Diggers Digest Guide to Strategic Corporate Research. (2019). Corporate Research Project. ხელმისაწვდომია: <https://www.corp-research.org/ddresearchguide>

<sup>38</sup> [https://about.proquest.com/products-services/pq\\_hist\\_annual\\_repts.html](https://about.proquest.com/products-services/pq_hist_annual_repts.html)



## რეკომენდაცია #3

**გამოიყენეთ ყველა ქართული ღია წყარო ბენეფიციარი მესაკუთრის ან მასთან დაკავშირებული კომპანიის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად**

იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო პლატფორმების / რეესტრების დახმარებით დაადგინეთ ცალკეული კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრე, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, გარკვეული კავშირი აქვს საქართველოსთან ან მისი ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია ფლობს წილს საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაში, ძიება (ქართული) ღია წყაროების მეშვეობით უნდა განაგრძოთ.

## როგორ მოძიებოთ / გადაამოწმოთ მონაცემები კომპანიის შესახებ?<sup>39</sup>

მნიშვნელოვანია კომპანიებისა და მათი მფლობელების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და გადამოწმება. ამისთვის რამდენიმე გზა არსებობს:



<sup>39</sup> კომპანიებისა და ინდივიდების შესახებ ინფორმაციის გადამოწმების მეთოდები წარმოდგენილია IDFI-ის მანამდე გამოქვეყნებული სახელმძღვანელოს მიხედვით: პრაქტიკული სახელმძღვანელო მონაცემთა ჟურნალისტებისთვის. 2019. ხელმისაწვდომია: <https://datalab.ge/ge/toolkittext/toolkit/3/>



მოძებნეთ კომპანიის სახელი (ქართული და ლათინური ასოებით), ტელეფონის ნომერი და მისამართი. გაეცანით კომპანიის შესახებ ინტერნეტსივრცეში მოძიებულ ინფორმაციას და მოინიშნეთ საგულისხმო ფაქტები/გარემოებები, რაც შესაძლოა გამოგადგეთ საკითხის შესწავლისას.



მოძებნეთ კომპანიის ოფიციალური Facebook გვერდი და შეამოწმეთ ჩვენ შესახებ / About Us-ის განყოფილება.



### ოფიციალური ვებგვერდი:

სოციალურ ქსელთან ერთად შეამოწმეთ რამდენად აქვთ ოფიციალური ვებგვერდი და გაარკვიეთ არის თუ არა კომპანია ნამდვილი. არსებობის შემთხვევაში, გაეცანით კომპანიის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას.

### ბიზნესის რეესტრი<sup>40</sup>

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდიდან გადადით ბიზნესის რეესტრის განყოფილებაში და მოძებნეთ თქვენთვის სასურველი კომპანიის დეტალები როგორც საძიებო სიტყვის, ასევე შემდეგი მონაცემების დახმარებით:



<sup>40</sup> <https://napr.gov.ge/dziebakomp>



## შენიშვნა

გაითვალისწინეთ, თუ კომპანიის დასახელებაში ერთი ასოც კი შეცდომით მიუთითეთ, მონაცემთა ბაზა სათანადოდ არ მოძებნის. უმჯობესია გუგლის საძიებო სისტემის დახმარებით მოიძიოთ კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი, რათა გაგიმარტივდეთ კომპანიის ძებნა.

კომპანიის მოძებნის შემდეგ **გახსენით მისი მონაცემები**, სადაც ნახავთ შემდეგ ინფორმაციას /დოკუმენტებს:

- 📁 საიდენტიფიკაციო კოდი;
- 📁 დასახელება;
- 📁 სამართლებრივი ფორმა;
- 📁 რეგისტრაციის თარიღი;
- 📁 სტატუსი;
- 📁 ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან (პირველ რიგში, გახსენით გვერდის ზედა ნაწილში მოთავსებული დოკუმენტი, უახლესი თარი-
- 📁 ღით, რომელშიც მოცემულია კომპანიის განახლებული მონაცემები, მათ შორის ხელმძღვანელები, მმართველობითი ორგანოს წევრები, პარტნიორები მათი პირადი ნომრის, სახელისა და კომპანიაში მათი კუთვნილი წილის ოდენობის მითითებით - ხელმისაწვდომია PDF ფორმატში);
- 📁 საკუთრების სტატუსთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის ინფორმაცია;
- 📁 სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია.

იმ შემთხვევაში, თუ ახალი ამონაწერი ასახავს სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებას, დასკანერებულ დოკუმენტებში ხელმისაწვდომი იქნება თუ რა სახის ცვლილება განხორციელდა. მწილის შეცვლის შემთხვევაში, შესაძლებლობა გექნებათ ნახოთ, თუ რა გარიგების საფუძველზე მოხდა წილების ცვლილება. წილის ნასყიდობის შემთხვევაში ხელმისაწვდომი იქნება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაადგინთ, თუ რა ფასად მოხდა წილის გასხვისება.



გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი დოკუმენტი.djvu format-ითაა ხელმისაწვდომი, რის გასახსნელადაც djvu reader-ის პროგრამის გადმოწერაა საჭირო. აუცილებლად შეამოწმეთ ის ფაილები, რომლებიც სათაურში რიცხვებსაც შეიცავს! დოკუმენტებში შესაძლოა ნახოთ შემდეგი ტიპის ინფორმაცია:

- 📁 პარტნიორთა კრების ოქმები;
- 📁 ინფორმაცია იურიდიული წარმომადგენლების, დირექტორებისა და ზოგიერთ შემთხვევაში, ოფმორული კომპანიების მფლობელების შესახებ;
- 📁 კომპანიის წინააღმდეგ სასამართლო გადაწყვეტილებები;



## შენიშვნა

თუ ამ დოკუმენტების გაცნობისას კომპანიის წარმომადგენლის ან სხვა თანამშრომლის (გარდა ამონაწერში მოცემული პირებისა) პირად ნომერს, მისამართს ან ელ-ფოსტას შეხვდებით, აუცილებლად ჩაინიშნეთ!

გარდა კომპანიების რეესტრისა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე ხელმისაწვდომია:

🔍 ყდალის, საგადასახადო გირაუნობა/იპოთეკის რეესტრი, სადაც შეგიძლიათ გადაამოწმოთ, აქვს თუ არა კომპანიას ან მის მენილეებს მსგავსი ვალდებულებები.<sup>41</sup>

<sup>41</sup> <https://www.my.gov.ge/ka-ge/services/5/service/191>

**Company Info**<sup>42</sup> - ეს ვებგვერდი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრის ბაზაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ შექმნა. მასზე უფრო გამარტივებულია კომპანიისა და მისი ხელმძღვანელის პირადი ნომრის მოძებნა. ძიება შესაძლებელია როგორც კომპანიის, ასევე, ინდივიდის სახელებით.



## შენიშვნა

2014 წელს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ბიზნესის რეესტრზე დამცავი კოდი დააყენა, რის გამოც ამ ვებგვერდზე მონაცემები ავტომატურად აღარ ახლდება. ამიტომ, მონაცემები აუცილებლად გადაამოწმეთ ბიზნეს რეესტრზეც!

**პარტიების შემოწირულებები**<sup>43</sup> - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე, პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის განყოფილებაში მოცემულია ცალკეული პოლიტიკური პარტიებისთვის იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ 2012 წლიდან განეული შემოწირულებები. ეს გამოგადგებათ კომპანიების პოლიტიკური კავშირების დასადგენად.

**პარტიების შემოწირულებები**<sup>44</sup> (დაკავშირებული სხვა მონაცემებთან) - პლატფორმა მოხმარებელს საშუალებას აძლევს, მოიძიოს ინფორმაცია პოლიტიკური პარტიების შემომწირვლების ბიზნესინტერესების შესახებ. ამისთვის, პლატფორმა ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დანესებულების მიერ გამოქვეყნებულ შემდეგ მონაცემებს:

- ☛ 2012 წლიდან პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებულ შემოწირულებებს;
- ☛ სახელმწიფო შესყიდვების პლატფორმას და
- ☛ ბიზნეს რეესტრს.

<sup>42</sup> <https://www.companyinfo.ge/ka>

<sup>43</sup> <https://monitoring.sao.ge/ka>

<sup>44</sup> <https://www.transparency.ge/politicaldonations/>



მაგ., კომპანიის ძიების შემთხვევაში გიჩვენებთ მის მიერ გავითვალისწინებულ სხვადასხვა შემონიშნულებებსა და დეტალურ ინფორმაციას ტენდერებში მონაწილეობის შესახებ. პლატფორმა შექმნილია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ.



**საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრი**<sup>45</sup> - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გამოქვეყნებული აქვს გირავნობის/იპოთეკის რეესტრი, სადაც შეგიძლიათ გადაამოწმოთ არის თუ არა დარეგისტრირებული რომელიმე კომპანიის ან ინდივიდის სახელზე საგადასახადო გირავნობა, იპოთეკა ან სხვა რაიმე სახის ფინანსური სანქცია.

<sup>45</sup> <https://naprlmr.reestri.gov.ge/#/>

<sup>46</sup> <https://debt.reestri.gov.ge/main.php?s=1>

<sup>47</sup> <https://reportal.ge/>

**მოვალეთა რეესტრი**<sup>46</sup> - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გამოქვეყნებული აქვს იმ კომპანიებისა და პირების რეესტრი, რომელთაც დავალიანება აქვთ. თუმცა, მოცემულია მხოლოდ მათი სახელი, საიდენტიფიკაციო კოდი / პირადი ნომერი, მისამართი და რეესტრში რეგისტრაციის ნომერი. ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია თავად დავალიანების/ვალის შესახებ. შესაბამისად, **უბრალოდ გადაამოწმებთ რამდენად აქვს რაიმე ტიპის ფინანსური ვალდებულება** ამა თუ იმ კომპანიას/ინდივიდს სახელმწიფოს მიმართ.

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშების პორტალი**<sup>47</sup> - ანგარიშგების პორტალი არის საქართველოში პირველი საჯარო საინფორმაციო რესურსი, რომელიც საქართველოში არსებული სუბიექტების ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებებს მოიცავს. პორტალი 2017 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შეიქმნა კაპიტალის ბაზრებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით.

ანგარიშების პორტალზე სუბიექტების შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია:

სუბიექტის ფინანსური და/ან მმართველობის ანგარიშგება



სუბიექტის ჯგუფის შესახებ ინფორმაცია



სუბიექტის აუდიტორების შესახებ ინფორმაცია



სუბიექტის პროფილის ინფორმაცია.



## როგორ მოძებნოთ / გადაამოწმოთ მონაცემები კერძო პირზე?



ამისთვის გამოიყენეთ შემდეგი საშუალებები:



მოძებნეთ სახელი და გვარი (ქართული და ლათინური ასოებით), გაეცანით მის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არსებულ ინფორმაციას და მონიშნეთ საგულისხმო ფაქტები/გარემოებები, რაც შესაძლოა გამოგადგეთ საკითხის შესწავლისას.



მოძებნეთ მისი Facebook ანგარიში, დაათვალიერეთ მისი პოსტები, სურათები და ნებისმიერ სხვა ინფორმაცია, დააკვირდით მის ნათესაურ კავშირებსა და სამეგობრო წრეს, საქმიანობას და ა.შ.

## ძიებნა



## ამომრჩეველთა სია<sup>48</sup>

წერილობითი ნომერი ავსილაქი

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გამოქვეყნებული აქვს ამომრჩეველთა სია, კერძოდ, ცალკეულ მისამართზე დარეგისტრირებული ამომრჩეველების მონაცემები. **აღნიშნული ბაზა საჭირო წყაროა ამა თუ იმ პირის (1) ოჯახის წევრების, (2) დაბადების თარიღისა და (3) მისამართის დასადგენად.**

ამისთვის საჭიროა მიუთითოთ ამ პირის გვარი და პირადი ნომერი. პირადი ნომრის გასაგებად გამოიყენეთ:

- 🔍 საჯარო რეესტრის უძრავი ქონების რეესტრი, სადაც მასზე რეგისტრირებული ქონების ძიების შედეგებში გიჩვენებთ მის პირად ნომერსაც;
- 🔍 **Company Info** - ინდივიდთა ძიების მოდულში ჩაწერეთ სახელი და თუ მის მფლობელობაში ყოფილა რომელიმე კომპანია, გიჩვენებთ პირად ნომერსაც.

## ქონებრივი დეკლარაცია<sup>49</sup>

იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ ეჭვი, რომ კომპანია ან მისი მფლობელი თანამდებობის პირთან ნათესაურ კავშირშია ან საქმიანი ურთიერთობა გააჩნია, შეგიძლიათ დაათვალიეროთ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ვებგვერდი.



<sup>48</sup> <https://voters.cec.gov/>

<sup>49</sup> <https://declaration.gov.ge/>



## შენიშვნა

დეკლარაციაში მოცემულია თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრების დაბადების თარიღებიც. ეს ინფორმაცია გამოგადგებათ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ არსებობენ ერთი და იმავე სახელისა და გვარის მქონე პირები. კერძოდ, ბიზნესისა და უძრავი ქონების რეესტრიდან ვიგებთ პირად ნომერს/ნომრებს, რის შემდეგაც ამომრჩეველთა სიაში პირადი ნომრითა და გვარით ვიგებთ მისამართს. ამ მისამართს ვადარებთ თანამდებობის პირის დეკლარაციაში მოცემულ დაბადების თარიღს და ვადასტურებთ პირის იდენტურობას.

### პირადი ნომრის გაგება

- ✚ უძრავი ქონების რეესტრი
- ✚ Company Info

### მისამართის გაგება

- ✚ ამომრჩეველთა სია

### შეღარიბა/ დადასტურება

- ✚ თანამდებობის პირთა დეკლარაციები

➔ **Company Info** და **ბიზნეს რეესტრი** - მათი დახმარებით გაეცანით პირის ბიზნეს წილებსა და კავშირებს. ბიზნეს რეესტრის საძიებო სისტემის ველში, ამ ინფორმაციის მოსაძებნად გამოიყენეთ ველი „**მონაწილეებით ძებნა**“.

➔ **პარტიების შემოწირულობები** - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე, პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის განყოფილებაში მოცემულია პოლიტიკური პარტიებისთვის ინდივიდებისა და იურიდიული პირების მიერ 2012 წლიდან განუღი შემოწირულობები. ეს გამოგადგებათ პირებისა და კომპანიების პოლიტიკური კავშირების დასადგენად.



## შენიშვნა

შემომწირველი პირების შემთხვევაში მოცემულია მათი პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო კოდი და ეს ინფორმაცია შეიძლება გამოგადგეთ სხვა პლატფორმებზე ინფორმაციის გადასამონმებლად.

- ➔ **საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრი** - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გირავნობის/იპოთეკის რეესტრით შესაძლებელია გადამონმდეს, **არის თუ არა დარეგისტრირებული რომელიმე ინდივიდის ან კომპანიის სახელზე საგადასახადო გირავნობა, იპოთეკა ან სხვა რაიმე სახის ფინანსური სანქცია.**
- ➔ **მოვალეთა რეესტრი** - იმ ფიზიკური, იურიდიული პირებისა და სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნების (გარდა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა) რეესტრი, რომელთა წინააღმდეგ ფულადი მოთხოვნის აღსრულების უზრუნველყოფისთვის დაწყებულია სააღსრულებლო წარმოება. რეესტრში მოცემულია მხოლოდ სახელი, პირადი ნომერი, მისამართი და რეგისტრაციის ნომერი. ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია თავად დავალიანების შესახებ.



## რეკომენდაცია #4

### დეტალურად შეისწავლეთ კომპანიების საქმიანობა სახელმწიფო შესყიდვებში

იმ შემთხვევაში თუ თქვენთვის საინტერესო ბენეფიციარი მესაკუთრე ფლობს საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, აუცილებლად გადაამოწმეთ მათი მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში.

ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია შესაძლოა თავის მხრივ ფლობდეს წილს საქართველოში დარეგისტრირებულ კომპანიაში. ასეთ შემთხვევაშიც შეისწავლეთ კომპანიის მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში.

### ამისათვის გამოიყენეთ:

# სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა

მისამართი: <https://tenders.procurement.gov.ge/>

**პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულება:** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდეგში, შესყიდვების სააგენტო)

**გამოქვეყნებული ინფორმაცია:** ცალკეული ელექტრონული შესყიდვის შესახებ ხელმისაწვდომია სრული ინფორმაცია შესყიდვის დაწყებიდან, მის დასრულებამდე - გამოცხადებული ტენდერის დეტალები, დოკუმენტაცია, სატენდერო განაცხადები და შედეგები, მათ შორის დადებული კონტრაქტები (გარდა ინფორმაციისა ქვე-კონტრაქტორების შესახებ).

**დარეგისტრირება:** ცალკეული ტენდერის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის სანახავად სასურველია დარეგისტრირდეთ! წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემა არ გიჩვენებთ ხელშეკრულების შესრულების და გადარიცხვების დეტალებს. სისტემის გამოყენება შესაძლებელია სტუმრის სტატუსით ან Facebook ავტორიზაციის საშუალებითაც.

**ელექტრონული სისტემის მეშვეობით განხორციელებული პროცედურები:**

- 1 ელექტრონული ტენდერი მისი ყველა ვარიაციით **(მოდული მთავარი)**
- 2 კონსოლიდირებული ტენდერი, კონკურსი, პირდაპირი შესყიდვები - **(მოდული CMR)**
- 3 პირდაპირი შესყიდვის ნებართვის აღება - **(მოდული SMP)**
- 4 წლიური შესყიდვების გეგმის დამზადება-დამტკიცება - **(მოდული ePLAN)**

ტენდერების ნაირსახეობებიდან სახელმწიფო უწყებები **ყველაზე ხშირად გამოიყენებენ ელექტრონულ ტენდერს და გამარტივებულ შესყიდვას.** საეჭვო გარემოებების დადგენაც ყველაზე მეტად სწორედ ამ ტენდერებში შეიძლება!



## **პირდაპირი შესყიდვების კანონით ნებადართული შემთხვევები:**

- 🛒 საქონლის მიწოდება, მომსახურების განწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა;
- 🛒 არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;
- 🛒 მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან;

- 🛒 სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები;
- 🛒 ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;
- 🛒 ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა;



## შენიშვნა

უმეტესი პირდაპირი შესყიდვის განხორციელებისთვის საჭიროა სააგენტოს თანხმობა! (SMP მოდული). შესაბამისად, შეგიძლიათ თვალი მიადევნოთ რის შესყიდვაზე და რა არგუმენტაციით ითხოვენ ცალკეული საჯარო დაწესებულებები ნებართვას. დარეგისტრირებულ მომხმარებელს შეუძლია საკუთარი პოზიცია გაუზიაროს სააგენტოს კომენტარის ველში და ითხოვოს ცალკეული ინფორმაციის დაზუსტება შემსყიდველთან.



## რას უნდა დააკვირდეთ ტენდერის მონიტორინგის პროცესში

### ზოგადი ინფორმაცია ტენდერის შესახებ

მიაქციეთ ყურადღება შესყიდვის ტიპს, სტატუსს, გამოცხადებისა და წინადადებების მიღების თარიღებს, კატეგორიას, სახელშეკრულებო ღირებულებას, საგარანტიო თანხას და ა.შ.

### დოკუმენტაცია

დაათვალიერეთ შემსყიდველი ორგანოს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები, ასევე, შემსყიდველსა და ტენდერში მონაწილე სუბიექტებს შორის ურთიერთგაცვლილი მასალები.



## შეთავაზება

გაეცანით ტენდერში მონაწილეებს, მათ ზოგად მონაცემებს და შეთავაზებულ თანხებს.

## შედეგები

ამ განყოფილებაში ნახავთ ტენდერში მონაწილე პირების ინტერესთა შეუთავსებლობის არარსებობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, ტენდერთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციას, მათ შორის ტენდერის სუბიექტებსა და შემსყიდველს შორის არსებული კომუნიკაციის შესაბამის დოკუმენტაციას, და საბოლოო შედეგს.

# განსაკუთრებული ყურადღება მიექცით:

✓ ტენდერის პირობები, რამდენად მოიცავს შემზღუდავ გარემოებებს (მაგალითად, შესასყიდი მანქანის ფერი, საქონლის კონკრეტული პარამეტრი, არაზომიერად მოთხოვნილი გამოცდილება ან წლიური ბრუნვის მაჩვენებელი, მოთხოვნა რომელიც საქონელთან, მომსახურებასთან ან სამუშაოს განევასთან ნაკლებადაა კავშირში);

✓ ტენდერში გამარჯვებული კომპანია;




- ✓ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენელი / მფლობელი;
- ✓ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ძველი საქმიანობა, კერძოდ, წარსულში რომელ ტენდერში მონაწილეობდა, რომელში გაიმარჯვა და როგორ შეასრულა სამუშაო;
- ✓ ვინ იყო ქვე-კონტრაქტორი;
- ✓ რამდენადაა ყველა დოკუმენტაცია წარმოდგენილი;
- ✓ ტენდერის ცალკეული ეტაპის ვადები და გამარჯვებული კონტრაქტორის მიერ დათქმული ვადების შესრულება;
- ✓ გაფორმებული კონტრაქტის პირობები;
- ✓ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

# საეჭვო გარემოებები შესყიდვებში

IDFI-ის გამოცდილებიდან გამომდინარე, გთავაზობთ რამდენიმე საეჭვო გარემოებას, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს შესყიდვაში შესაძლო კორუფციის ნიშნებზე:

- ? გამარჯვებული უკონკურენტოდ გამოვლინდა (ის იყო ერთადერთი პრეტენდენტი / ან / განხორციელდა პირდაპირი შესყიდვა)
- ? გამარჯვებული კომპანია რეგისტრირებულია შესყიდვამდე მცირე ხნით ადრე
- ? შესყიდვაში გამარჯვებული კომპანიის მფლობელ(ებ)ს ნათესაური კავშირი აქვს შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომელთან / ან / ინტერესთა კონფლიქტი - სატენდერო კომისიის წევრთან
- ? ტენდერი გასაჩივრებულია (დავების საბჭოში)
- ? პირდაპირი შესყიდვის აუცილებლობა არასათანადოდ არის დასაბუთებული (SMP მოდული)
- ? ყველაზე დაბალი ფასის წარმდგენ პრეტენდენტს მიენიჭა დისკვალიფიკაცია
- ? ერთი და იმავე კომპანიასთან ხშირად არის გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებები / ან / გამარჯვებულ კომპანიას სხვა მსგავს შესყიდვაში მონაწილეობა არ მიუღია
- ? სატენდერო ღირებულება შესყიდვის ობიექტის საშუალო ფასზე ძალიან მაღალი ან დაბალია
- ? ტენდერი შეიცავს მორგებულ მოთხოვნას / წინაპირობას (სპეციალისტის გარეშე რთული დასადგენია)
- ? შესყიდვა განხორციელდა ქვეკონტრაქტორის მიერ
- ? შესყიდვა განხორციელდა სარეზერვო ფონდიდან
- ? გაფორმებულ კონტრაქტში შევიდა ცვლილება: გახანგრძლივდა ვადა ან გაიზარდა ღირებულება
- ? შესყიდვა ან/და კონტრაქტი არ არის საჯარო (არ იძებნება ელექტრონულ სისტემაში)





## რეკომენდაცია #5

### გამოიყენეთ მეორადი წყაროები



ანალიტიკურ მასალაზე მუშაობისას შესაძლოა დაგჭირდეთ საჯარო დაწესებულებების მიერ ფულის გათეთრების პრევენციისთვის გადადგმული ნაბიჯების მიმოხილვა. ამ მიმართულებით შეგიძლიათ დაეყრდნოთ ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი კომიტეტის - **MONEYVAL-ის ანგარიშებს**,<sup>50</sup> რომელიც აფასებს ქვეყნების სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ტექნიკურ შესაბამისობას ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) 40 რეკომენდაციასთან.

გათვალისწინეთ, ფულის გათეთრების სავარაუდო შემთხვევებზე განხორციელებულ ჟურნალისტურ გამოძიებაზე, ან სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფების მიერ მომზადებულ ანგარიშებზე ოფიციალური უწყებების შესაბამისი რეაგირება შესაძლოა ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად ჩაითვალოს.



## რეკომენდაცია #6

### გადაამოწმეთ ინფორმაცია კომპანიასთან დაკავშირებული პირების, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირების შესახებ

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეალური ბენეფიციარი მესაკუთრეები საკუთარი ვინაობის დასამალად ხშირად იყენებენ ახლო მოკავშირის, ნათესაური კავშირის მქონე პირის ან ოჯახის წევრის სახელებს.

არსებობს გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომელიც მონიტორინგის განმახორციელებელ პირს დაეხმარება იმ ფიგურების შერჩევაში, რომლებიც სავარაუდოა, რომ საკუთრი ვინაობის

<sup>50</sup> <https://www.fatf-gafi.org/countries/>


დასამალად მსგავსი ჯაჭვის შექმნას მიმართავენ. პირველ რიგში, მუდმივი / პერიოდული მონიტორინგი შესაძლოა განხორციელდეს მთავრობის მეთაურის, საკანონმდებლო ორგანოს წევრების, სამინისტროების, სასამართლო ან სამხედრო/ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების, სახელმწიფოს საწარმოების ხელმძღვანელების და სხვა მაღალი თანამდებობის მქონე პირების შესახებ. მათთან ერთად გადაამოწმეთ მათი ნათესავებისა და ახლო კავშირების შესახებ ინფორმაციაც.



## რეკომენდაცია #7


### გამოითხოვეთ საჯარო ინფორმაცია

გაითვალისწინეთ, იმისათვის, რომ თქვენ მიერ შეგროვებული მასალა იყოს ყოვლისმომცველი, **შესაძლოა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა არაერთი საჯარო დაწესებულებიდან დაგჭირდეთ**. ამ ნაწილში, გთავაზობთ, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ყველა იმ საჯარო დაწესებულების ჩამონათვალს და სავარაუდო კითხვებს, რომლებიც ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ სწორი ინფორმაციის მოპოვებაში დაგეხმარებათ.



ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვის ნაწილში უკვე ვახსენეთ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელიც, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ არსებულ კანონზე დაყრდნობით აღრიცხავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშვალდებულ პირებს და მათგან იღებს ინფორმაციას საეჭვო და სხვა გარიგებების შესახებ. აღნიშნული სსიპ-ისგან შეგიძლიათ

**გამოთხოვით ინფორმაცია საქართველოში განხორციელებული საექვო გარიგებების რაოდენობის შესახებ**, თქვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთის მითითებით. ინფორმაციის ჩაშლა შეგიძლიათ სხვადასხვა კატეგორიით მოითხოვით. მაგალითისთვის, დაინტერესდით იმ საექვო გარიგებებით, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ისეთი იურიდიული პირები, რომელთა ბენეფიციარი მესაკუთრის ვერიფიკაციაც ფინანსურმა მონიტორინგის სამსახურმა ვერ მოახდინა.



გარდა ამისა, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა ყურადღება უნდა მიაქციოს **საქართველოს მთავრობის დადგენილებით<sup>51</sup> განსაზღვრულ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ჩამონათვალს და ამ ქვეყნებში დარეგისტრირებული კომპანიების მიერ საქართველოში ფილიალების დაფუძნების ამსახველ დოკუმენტაციას**. ამისთვის, შესაძლოა საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოდან დაგჭირდეთ ოფიციალური ინფორმაციის გამოთხოვა. ამ კონტექსტში შესაძლოა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში

დარეგისტრირებული კომპანიების მიერ საქართველოში ფილიალების დაფუძნების ამსახველი რაოდენობრივი ინფორმაციით დაინტერესდეთ. ინფორმაციის უფრო დეტალურად ჩაშლის მიზნით შეგიძლიათ სააგენტოდან გამოითხოვოთ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში დარეგისტრირებული კომპანიების მიერ საქართველოში სამენარმეო ან/და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების ამსახველი რაოდენობრივი ინფორმაცია თითოეული სამენარმეო (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი) და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მითითებით.

თუ შეძლებთ ამ გზით საქართველოში რეგისტრირებული, მათთან დაკავშირებული კომპანიების იდენტიფიცირებას, შეგიძლიათ მათი საქმიანობის დეტალები, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვებში, ზემოთმოცემული ღია წყაროებისა და პორტალების დახმარებით გადაამოწმოთ.

<sup>51</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბერის დადგენილება №61.

ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3523434?publication=0>

## დანართი 1: პრაქტიკული მაგალითი



წარმოდგენილი რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელების საილუსტრაციოდ, გთავაზობთ რა ინფორმაციის მოძიება გახდა შესაძლებელი ოფშორული კომპანიებისა და მათი

ბენეფიციარი მფლობელის ვინაობის გამჟღავნების შედეგად.

Pandora Papers-ის თანახმად, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მფლობელობაშია 12 ოფშორული კომპანია, რომლებიც მან 1998-2016 წლებში დააფუძნა. აღსანიშნავია, რომ ყოფილმა პრემიერმა ქონებ-


რივი მდგომარეობის დეკლარაციაში 2012 წლამდე დარეგისტრირებული არც ერთი კომპანია არ მოიხსენია<sup>52</sup>.

ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთ ოფშორულ კომპანიას წარმოადგენს 1999 წელს, კომპანია Alcogal-ის შუამავლობით დარეგისტრირებული კომპანია “Finseck Limited”. ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ გავრცელებული ინფორმაციით დგინდება, რომ 2011 წელს, აღნიშნული კომპანიის საქმიანობით ვირჯინიის კუნძულების ფინანსური სამსახური დაინტერესდა<sup>53</sup> და ინფორმაცია შუამავალი კომპანიისგან გამოითხოვა. Alcogal-ის განმარტებით, კომპანია Finseck Limited უკავშირდება ტრასტს<sup>54</sup>, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შვილებისთვის დააფუძნა.

<sup>52</sup> როგორც „ქართუ ჯგუფმა“ განმარტა, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15-ე მუხლის “ი” ქვეპუნქტის შესაბამისად, დეკლარირებას ექვემდებარება: საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამენარმო საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის მონაწილეობა. მათ შორის იგულისხმება საზღვარგარეთ და ოფშორულ კომპანიებში მონაწილეობა. კანონი არ გულისხმობს ბენეფიციარულ მფლობელობაში არსებულ კომპანიებს. წინააღმდეგ შემთხვევაში არა ტერმინი “მონაწილეობა”, არამედ ტერმინი “ბენეფიციარული მფლობელობა” იქნებოდა გამოყენებული. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილის ქონებრივი დეკლარაცია კანონის დაცვით იქნა შედგენილი.

<sup>53</sup> გაუიონილი ინფორმაცია არ მოიცავს დამატებით დეტალებს, თუ რატომ დაინტერესდა ფინანსური სამსახური აღნიშნული კომპანიით

<sup>54</sup> ტრასტი (ნდობითი ფუნქცია), ან ტრასტის მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურა წარმოადგენს ურთიერთობების სისტემას ზოგად სამართალში, რომლის დროსაც საკუთრება, რომელიც ეკუთვნის მფლობელს, გადაეცემა ნდობით მმართველს (ან მეურვეს). შეთანხმების საფუძველზე, მფლობელი საკუთრებაში არსებულ ფასეულობებს სამართავად გადასცემს მეურვე პირს.



სურათი #15: ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ოფშორული კომპანიები

სამენარმეო რეესტრზე ინფორმაციის მოძიების შედეგად ირკვევა, რომ კომპანია “Finseck Limited” საქართველოში 4 შვილობილ კომპანიას ფლობს - შპს ექსპრეს-სერვისი, შპს ლიზინგი ოცდამეერთე, შპს თხილის განაშენიანების და გადამუშავების კომპანია და შპს კომპლექს-სერვისი.

საიდენტიფიკაციო კოდი	პირადი ნომერი	სუბიექტი	მონაწილე	მონაწილეობის ტიპი
204963879		შპს ექსპრეს-სერვისი	Finseck Limited	მენილე
204929532		შპს ლიზინგი ოცდამეერთე	კომპანია ფინსეკ ლიმიტედი	მენილე
206113141		შპს თხილის განაშენიანების და გადამუშავების კომპანია	კომპანია ფინსეკ ლიმიტიდ	მენილე
205023632		შპს კომპლექს-სერვისი	ფინსეკ ლიმიტიდ	მენილე

სურათი #16: სამენარმეო რეესტრში გადამონმებული ინფორმაცია

ძიების მომდევნო ეტაპზე კომპანიის ხელმძღვანელობით დავინტერესდით. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს კომპლექს-სერვისის გენერალური დირექტორი პაატა სულაბერიძეა, რომელიც დამატებით 11 კომპანიის დირექტორის (ამავდროულად მესაკუთრის) პოზიციას იკავებს. თავის მხრივ, ამ კომპანიების სხვა მესაკუთრეებს წარმოადგენენ ბიძინა ივანიშვილი, ბერა ივანიშვილი, შპს ქართული ოცნება და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ქართუ.

რაც შეეხება შპს კომპლექს-სერვისის დირექტორს, კახა კობიაშვილს, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად იგი დამატებით 10 კომპანიის შემთხვევაში იკავებს დირექტორის, ან გენერალური დირექტორის პოზიციას. ეს კომპანიები კი თავის მხრივ ბიძინა ივანიშვილთან კავშირში არსებული სხვა ოფშორული კომპანიების (Limestone Finance International SA, Vanity Overseas, Gilmar Holding), ასევე საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ ქართუს საკუთრებას წარმოადგენენ.



**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეესტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17021259, 17/02/2017 16:12:58

---

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს კომპლექს-სერვისი  
**სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 205023632  
**რეესტრაციის ნომერი, თარიღი:** 5/4-3844; 10/03/2004  
**მარეესტრირებული ორგანო:** ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამ  
**იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. საჩხერე, ივ. გომართელის ქ., N5  
**დამატებითი ინფორმაცია:**  
 ელ. ფოსტა: Complex.Service2013@gmail.com  
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მოწოდებელი პირი.

---

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიანობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ**

რეესტრირებული არ არის

---

**ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა**

- გენერალური დირექტორი - 17001005377, პაატა სულაბერიძე
- დირექტორი - 54001002613, კახა კობიაშვილი

---

**პარტნიორები**

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
315864, ფინსეკ ლიმიტიდ, ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.), , , 11.03.1999		100%

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე გადამოწმებული ინფორმაციის თანახმად, ორივე მათგანი მმართველი პარტიის ან მის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის სასარგებლოდ წლების მანძილზე მსხვილ თანხებს სწირავდა.

შემოწმების მიმღები	თარიღი	სახელი, გვარი / დასახელება	ნომერი / კოდი	თანხა
სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებელი კანდიდატი	27/11/2018	პაატა სულაბერიძე	17001005377	10,000.00 ლ
ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	21/07/2016	პაატა სულაბერიძე	17001005377	4,000.00 ლ

### სურათი #18: პაატა სულაბერიძის მიერ პოლიტიკური სუბიექტებისთვის შეწირული თანხები

შემოწმების მიმღები	თარიღი	სახელი, გვარი / დასახელება	ნომერი / კოდი	თანხა
ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	25/01/2021	კახა კობიაშვილი	54001002613	50,000.00 ლ
ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	12/08/2020	კახა კობიაშვილი	54001002613	40,000.00 ლ
ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	29/03/2019	კახა კობიაშვილი	54001002613	45,000.00 ლ
სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებელი კანდიდატი	24/10/2018	კახა კობიაშვილი	54001002613	30,000.00 ლ
ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	13/10/2017	კახა კობიაშვილი	54001002613	40,000.00 ლ
ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	29/12/2016	კახა კობიაშვილი	54001002613	25,000.00 ლ

### სურათი #19: კახა კობიაშვილის მიერ პოლიტიკური სუბიექტებისთვის შეწირული თანხები


## დანართი 2: ღამეცეპითი სანქციაშორისო რესურსეპი

### Sanctions Explorer

სანქციათა მექანიზმი ევროკავშირის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე სხვა მრავალი სახელმწიფოს თუ ორგანიზაციის ხელში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ინტერესების დასაცავად.



**SanctionsExplorer**<sup>55</sup> წარმოადგენს მსხვილ და ყოვლისმომცველ ღია წყაროს როგორც წარსულში დაწესებული, ისე მიმდინარე სანქციების იდენტიფიცირებისთვის. პლატფორმის მეშვეობით **მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა საერთაშორისო აქტორების მიერ ცალკეული დაწესებულების წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შესახებ**. გარდა ამისა, ინფორმაცია სანქცირებული სუბიექტების შესახებ ხელმისაწვდომია როგორც ქვეყნების, ასევე ანბანის მიხედვით. ასევე, საძიებო სისტემა მომხმარებელს სანქციის დამწესებელი აქტორის, სანქციის დაწესების თარიღისა და კატეგორიის სახით დამატებითი კრიტერიუმის მითითების შესაძლებლობას აძლევს.



სურათი #20: პორტალის საძიებო სისტემა

<sup>55</sup> <https://sanctionsexplorer.org>

# ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყნების შესახებ

## UNdata

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2005 წელს დაწყებული პროექტის - სახელწოდებით “სტატისტიკა საზოგადოებრივი სიკეთისთვის” მთავარ მიზანს წევრი ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების დახმარება და გლობალურ დონეზე სტატისტიკაზე თავისუფალი წვდომის გავრცელება წარმოადგენდა. დღესდღეობით, **UNdata**<sup>56</sup> წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მონაცემთა პორტალს, რომელზეც ხელმისაწვდომია მრავალმხრივი მონაცემთა ბაზები საჯარო პოლიტიკის თითქმის ყველა საკითხის, მათ შორის, ვაჭრობის, დემოგრაფიის, ენერგეტიკის, გარემოს საკითხების, გენდერული სტატისტიკის, წარმოების, ფინანსების, ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების, ჯანდაცვის, ტელეკომუნიკაციების და სხვა საკითხების შესახებ.

გაეროს მონაცემთა ბაზებზე წვდომა შესაძლებელია გამოყენებითი პროგრამების ინტერფეისის (API) საშუალებით, რომელიც მონაცემების სრულად ჩამოტვირთვის გარეშე, მომხმარებელს საშუალებას აძლევს აირჩიოს მთლიანი მონაცემის კონკრეტული ნაწილი. API წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას ორგანიზაციებისთვის, დინამიური წვდომა ჰქონდათ სასურველ მონაცემებზე, მუდმივად განახლებად რეჟიმში.



56 <http://data.un.org/Default.aspx>



## DataBank

**მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა**<sup>57</sup> - აერთიანებს ქვეყნების შესახებ ყოვლისმომცველ მონაცემთა ბაზებს სხვადასხვა ეკონომიკური და საზოგადოებრივი საკითხების შესახებ, მათ შორის, ეკონომიკური ზრდა, მშპ, ექსპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინფლაცია, მოსახლეობა, სიღარიბე, განათლება და ა.შ.

## ღანართი 3: სხვა ინსტრუმენტები საგამოქიანო ჟურნალისტებისა და აქტივისტებისთვის


**Q ძალაუფლებისა და გავლენის ქსელის/ჯაჭვის ვიზუალიზაციის გზით გადმოცემა** მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჟურნალისტურ საქმიანობაში.

სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფის “საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების ინიციატივის (PAI)” მიერ შექმნილი **Oligraphers**<sup>58</sup>- სწორედ ამ მიზანს ემსახურება, წარმოაჩინოს ოლიგარქიული და სხვა ტიპის გავლენები გრაფიკული დიზაინის საშუალებით.

<sup>57</sup> <https://databank.worldbank.org/home.aspx>

<sup>58</sup> <https://littlesis.org/oligrapher>

ვიზუალიზაციის შექმნა შესაძლებელია იმავე ორგანიზაციის მიერ შექმნილ **LittleSis**-ზე<sup>59</sup> განთავსებული მონაცემების მეშვეობით. მომხმარებელს შეუძლია თავად დაამატოს ინფორმაცია ფიზიკური პირის, ან კომპანიის შესახებ და შექმნას მსგავსი ტიპის ვიზუალიზაცია.



სურათი #21: კავშირების გამოსახვის მაგალითი

59 <https://littlesis.org/>

❓ **დაშიფრული საკომუნიკაციო ინსტრუმენტი Signal,**<sup>60</sup> რომელიც პოპულარულ აპლიკაციებს შორის ტექსტური და ხმოვანი კომუნიკაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობს. მომხმარებელს შეუძლია წამზომზე სასურველი დროის მითითებით მიმონერა სამუდამოდ წაშალოს. ჟურნალისტების მხრიდან აპლიკაცია ხშირად გამოიყენება მამხილებელთან მიმონერისას.



❓ უსაფრთხო მიმონერაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია **ფაილების ვირტუალურ სივრცეში შენახვა,** რაშიც **VeraCrypt**<sup>61</sup> დაგეხმარებათ. Windows, Mac, Linux, ან სხვა ოპერაციულ სისტემაზე პროგრამის დაყენების შემდგომ დაშიფრული ფოლდერის შექმნას და ფაილების იქ განთავსებას ყველაზე უსაფრთხო მეთოდით შეძლებთ.



❓ ინტერვიუების, შენიშვნების, მისამართებისა და ჩანაწერების ორგანიზებულად შეგროვება მკვლევრების, ასევე გამომძიებელი ჟურნალისტების საქმიანობაში მნიშვნელოვანია. **Evernote**<sup>62</sup> სასარგებლო პლატფორმა/მობილური აპლიკაცია იმ მომხმარებლებისთვის, რომელთაც ტექსტის ძებნის, სკანერის, შენიშვნების წარმოების, აკადემიური სტატიების ძებნისა და სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების ერთ სისტემაში თავმოყრა სურს.



<sup>60</sup> <https://signal.org/#signal>

<sup>61</sup> <https://www.veracrypt.fr/en/Home.html>

<sup>62</sup> <https://evernote.com/>





## ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

---



თ. შვეჩენკოს ქ. 20, 0108 თბილისი, საქართველო



+ 995 32 2 92 15 14



INFO@IDFI.GE



WWW.IDFI.GE • WWW.DATALAB.GE